# ცისკარი.

## ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

1857

№ 3. მარტი.

ტფილისი,

# ცისკარი.

# ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

17

რედაკტორი და გამომცემი ივ. კერესელიძე.

«თუ შეიყუარო სმენად, მიითვალო, და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისო-ზირ. თავი 6. მუხ. 34)

1867 წლისა.

წიგნი მესამე.

მარტი.

ქართულის სალიტერატურო ჟურნალის სტამბაში.

ქ. ტფილისს.

**ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ**

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ Цензурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ. 12 января 1857 года.
Исправляющій должность Грузинскаго Цензора Св. Алексѣевъ.

ვამკოთ ბახუსი და მისი ძალი,
თან თვით ღვინოში ვიქმნეთ დამრჩვალი,
სიბრძნე, ს..მდიდრე, სული შეგვიმძინავს,
რადგანც თავშია ღვინო გვიბრწყინავს...

ივ. კერესელიძე.

## სიყრმით უბედური.

უმაღლეს მთასა ორბი კლდეზედ ჰსჯდა,
ხეობას და ზღვას გადამჭვრეტელი,
და აქ მიდამოს დაჰნადირობდა,
მალშავარდენი მიმოიფრენელი.
ამ ზღვს პირს ხეს ქუეშ მოვიდა, დაჰსჯდა
ვიღაც თეთრის თმით დახავსებული
და ამას მწარის ხმითა უბნობდა,
სახით გამხდარი გაყვითლებული:
«იქ განჰსჯის და ჰსჯის სოფლის ცვლილებას,
რომლისაც შორს ჰსჭვრეტთ მიუწთომლებას;
რომელიც ჩუენს ფიქრს თავისში ინთქავს,
უღრმეს უღრმესსა, ცისა ჯურღმულში!
იქ განუწილავს მას ერთს ბუნებას,
სადაც სამართლობს და განჰსჯის ზეცას,
უფრსკულს თავს მჯდომსა, მოღერებულსა;
მოდიდურგულსა, გამდიდრებულსა.
მას ფარულებას და მას ღუთაებას;
მას მსაჯულებას და მას უფლებას.
ჰგავს, რომ ჩემს ბედსა წილში რგებია,
უბედურება ასე მზლებია!»

შენ, თავო ჩემო! რა არ გარდაგხდა,
ყოველი ვაჲ ამა სოფლადა!
ესე სოფელი თჳთონც წუთია,
მასაც მწარედ გჳკლავს ჩქარსა მიყრენას.»
«ეს მზე უებრო, ეს ცა განბრწყინვული;
ეს ზღვა ამაყი და დიდებული;
ეს მზე ზოდიაქ მიმჩანს არადა,
ფუძებრივ სოროდ გამოთხრილადა,»
«სად მთოვარე სრული, გამობადრული;
სადა ვარსკვლავნი გამოკვკლეულნი
სადა ჰაერი გადმოარეი;
სადა ნიავი მონაზვებული;
სადა სოფელი და მის ნათელი;
სად ქუმწყანანი და ცხოვრებანი?
ესენი ჩემთჳს მკჳდარის სრულად,
ვარ ასე საწყლად მე მოსწონიალად.»
«ესე ბუნება მიუმსგავსება,
ვით მშჳნიერს ქალს მდიდრ მორთულება.
ხედავთ ეს ჩემთჳს ჰგავს კუბოში მკჳდარს,
ამოვრებულსა და დარღვეულსა,
«როს დრუბელს გრგვინვა ეთახთახება,
და ელვა შორის დაემჭალება,
და ამ დროს ოდეს როს გამოსქდება,
გასაკვირანი მეხი ჭექება,
აქ მე მიხარის ეგება მამწყულას,
რომ ამთენს ჩემსას მოვრჩე ვაებას;
მაგრამ ჯერ ღმერთსა არ უნქებავს ზეცით,
ჩემი სიკუდილით დამხამულ სოფლით.»
«როს ძღერა მესმის სიმხიარულის,
როსა გალობა დღესასწაულის,

ოდეს ჩანგთა ხმა დამატკბობელი,
ოდეს მუზიკის ხმა სანატრელი,
ამ ჩემთ ყურთ სმენას გარსა ევლება,
რაღაც საამო გულს მოთხრილობა.
«როს ბულბული ჰსტჳენს გაგიჟებული,
გაზაფხულით ყჳავილთ მოარშიყული;
როს ნაზნი ჩიტნი ნაზათ მთხრობლობენ,
ფურჩქჳნილს ბუნებას მიმოფრინობენ,
აქ ჩემი გრძნობა სრულად ირყევა,
შემრწოლებითა, გაშფოთებითა.»
«სასმელს საჭმელსა ვგემებ ოხვრითა,
რომლისაგანაც ვცხოვრებ მისითა;
რომელიც ჩემთჳს არის სამსალად,
სისხლის შემწჳწლად, მოსათუთქარად.»
«ჩემი ნუგეში არს მწუხარება,
ამით სული სინანულით სტკბება,
ვცურავ ამაში ვით ოკეანში,
ხან მღელვარეში და ხან მყუდროში.»
«შენ, თავო ჩემო, უდედ უმამო!
ვინ ვარ, ვისა ვჭრეტ მე უშობელო,
აღარც თავს ვიცნობ, აღარც მშობელთა.
ანუ ვინა ვარ, ან სად ვარ ველთა,
აღარც ეს ვიცი, ვარ სადაური,
მიწის, წყალთაგან, თუ ჰაერული.»
«მოდით ჩემს გარე თქუენ, ვაცნო, ჩემთან,
დღე ყოველ მწარეთ დაბერებულთან;
გატიალებულ, გაოხრებულთან,
დასნეულებულ და დავრდომილთან;
მოდით საწყალთან, მჳლებზედ დამჭკნართან,
და ჩამოლეულ ვით ჩამომდნართან:

მნახეთ თქუჱნ, კაცნო, რა მწელადა ვარ,
ბედკრული კაცი, მეტად ყრმობითგან.»
«ვაჰმე თავო, კაცთ შეუბრალო,
ვით არ გულმქონეთ მათ შეუწყალო,
არც შენსა ბედსა სულ არ ვინ ჰგრძნობენ,
არც რამ მცირედით განუგეშებენ:
გესმის? რა გითხრათ თქუჱნ კაცნო, კაცნო?
კაცნო უგრძნობნო და უწყალონო!...
იქნება, ღმერთო, ზეცისა კარი
მანდაც დამიხშა უკუდავი, მტკბარი,
იქნება ვიყო მანდედგანაცა,
გამოკლებული, გამოგდებული.»
«შენ მუზო მგრძნობო! მოდი შენ მაინც
ჩემსა საფლავზედ სავალალოზედ,
და გთხოვ ვედრებით მხოლოდ ესა ჰსთქვი;
ჩვილი გულითა და გლოვითა
ვაი საწყალო, სიმწარით მკუდარო,
აი მე მუზი შენს საფლავს ვცრემლობ....
მაშინვე გრძნობენ ჩემი ეს ძვლები,
სიხარულითა და მადლობითა.....

N.

## ღროება საყუყნოებისადმი.

ჰსდგა ხე მაღალი წყლისა პირს აღყუავებულის რტოებით,
ქარიშხალს მისით მოეხსნო ერთი რტო ჟამთა დროებით.
რტო წყალსა გდლო მიჰქონდა, ზღჳას ჩასართავს მხნეობით;

ვითა ობოლი, საწყალი, მისდევდა ობოლს ზნეობით.

მას ჰრქჳეს: —საბრალოვ! სად მისდევ შენ წყალსა დასაღუპჳელად?...
წყალი ზღჳას ზღჳისა უბსკრულთა მიგცემს მყის დასაღუპჳელად;
ვით მალოგიმს უდგრო ღელვათა, სადამე დასამ-უარებლად.
ვინ იცის? —ქვიშას გაერთვი, ანსად დაინ-თქვი. საგნებლად

რტომ მოკლედ უგო პასუხი: —არღა მაქჳს ჩემად გულია,
რა ქარიშხალმან მშობელს სეს მომხსნა... არ შემრჩა სულია.
ვარ უცხო ვინმე ობოლი, გამხმარი, განწირულია.
დეე— მატარობს ამ წყალმან, ვიდრე აქჳს დასას-რულია.

ი. ალ. ჩიქოვანი.

## ცოლის სიყვარული.

ვეზუვიის ფერდობზედ აღმაღლდებოდა რა მშვენიერი შენობა, მდგომარე საშუალ ბაღისა, რომელსა სხვა და სხვა ხილნარები და ვაზის მტოები რიგზედ ჩამწკრივებულნი ჰფარევდნენ სარბენსა და ფანჯარებსა ამა სახლისასა. ნეაპოლის ჩვეულებისამებრ, სახლი ესე იყო დაკეტილი და ჰგავდა უკაცურსა; გარნა საღამოს ჟამსა, როდესაც ზღვიდგან წამოსული ნიავი განჰფენდა გარემოს სიგრილესა, ფანჯრები წყნარად განიღებოდნენ და მის მახლობელ განმვლელნი ხედავდნენ მდიდრად მორთულთა ოთახთა, სადაც დასეირნობდნენ ხელი-ხელს მიცემულნი და სიყვარულით მოყვარნი მშვენიერნი ყმაწვილი კაცი და უენრო ქალი. — ესენი იყვნენ მფლობელნი ამა გონების მიმტაცებულის სადგურისა — გრაფი ოდოარდო და მეუღლე მისი გრაფინა ლია.

თუმცა ამ ყმაწვილთ კაცსა და ქალსა დიდი ხანი იყო, რაც უყვარდათ ერთმანეთი, გარნა ჯერ არ განევლო ექვსსა თვესა, რაც რომ იყვნენ შეერთებულნიქორწინების კავშირითა. — იმ დღეს, როდესაც ისინი ემზადებოდნენ წარდგენად წინაშე ტაძრისა წარმოსათქმელად ფიცისა ერთმანეთის საუკუნო ერთგულებისათვს, გრაფმან ოდოარდო ბრძანებისაგამო იძულებულმან დაუტევა და გაჰყვა მეფეს ფერდინანდსა სიცილიაში, სადაცა დაჰყო მან რვა თვემდე პალერმოში დედოფლის გვამის მცველად. შემდეგ, როდესაც კარდინალმა რუფომ დააპირა ლაშქრით წამოსვლა ნეაპოლზედ, ოდოარდომ სთხოვა ნება დედოფალსა ამ წამოყოლისა და მანაც აღუსრულა.

რა შემოვიდნენ ამ სატახტოს ქალაქში, გრაფმა

ისა იქ თავისი ლია, უწინდელივით ერთგული და მოყუარული, და რადგანაც აღარა აბრკოლებდარა საქორწინოდ, დაიწერა იმაზე ჯუარი; შემდგომ განშორდნენ ორნივე სისხლიერსა სახილველსა, რომელითაც ყოველ დღე სამსე იყო ნეაპოლი, და აღმოირჩიეს საცხოვრებელად ზემო აღწერილი კუთხე, თითქმის მსგავსი სამოთხისა. აქ ჰსცხოვრებდნენ ისინი ექუსს თუჱმდე, და გრაფი რაცხავდა თავის თავსა უბედნიერეს კაცად; გარნა ანაზდეულად ერთმა შემთხუჱულებამ შეარყია ბედნიერება იმათი.

ამ გრაფსა ჰყუანდა ერთი და, სახელად თერეზა, მშუჱნიერი და უმანკო ყმაწვილი, რომელიცაჲ უყუარდა მსგავსად ზამბახისა, ჩრდილოსა შინა მონასტრისასა.—ჩუჱულებისამებრ ნეაპოლისი დიდ გუართა, ბედნიერება ამ ქალისა იყო შეწირული საბედნიეროდ ძმისა — უწინარეს, ვიდრე საწყალი თერეზა გაიცნობდა ქუჱყანასა და მის კმაყოფილებათა, მონასტრის ფარდა ჩამოეფარა მას და ქუჱყნისა შორის.

როდესაც მამა მისი გარდაიცუალა და ძმა მისი ოდოარდო, რომელსაც გაგიჟებით უყუარდა იგი, შეიქმნა თავის უფლად მფლობელი სრულიადის გუარის სიმდიდრისა, იმ დროს განვლილ იყო სამი წელი, რაც თერეზას წარმოეთქუა აღთქმა მონოზონობისა.

პირველს ნახვაზედვე დისა, შემდეგ სიკუდილისა მამისა, ოდოარდომ უთხრა თერეზას, რომელ იგი ეცდება გამოსთხოვოს პაპასა დარღუჱვა აღთქმისა, რომელიც დაედვა მას იმ წლოვნებაში, როდესაც არ იცოდა მან სიმძიმე შეწირულისა აღთქმისა და არცა ესმოდა მას ძალი წარმოთქმულისა ფიცისა; გარნა დამ დაუმალდა მას და არწმუნა, რომელ იგი

ბედნიერი არის ამ მდგომარეობაშიაცა და რომელ იგი შეეწევა მძიმეს მონასტრის ცხოვრებასა.

ოდოარდომ, რომლისათჳსაც ცნობილ იყო გრძნობა სიყუარულისა, იცოდა ვითარს ცვლილებასა ნერგამს ეს ძლიერი ცეცხლი სიცოცხლესა შინა კაცისასა. იგი გამოესალმა დასა, მთხოვნელი ღჳთისა, რომ დამან მისმან არ ინანოს ოდესმე მიდევნულსა განზრახულებასა ზედა თჳსსა.

განვლო რამდენმანმე თჳემ. ამ ჟამად მოხდა ზემო აღწერილი ამბავი. გრაფი ოდოარდო წავიდა, როგორცა ვსთქვით უკუე სიცილიაში და დაუტევა მან ჯანუკა მონოზანი მონასტერში.

როდესაც ფრანცუზნი შევიდნენ ნეაპოლში, ნაპოლეონმა გამოსცა ბრძანება მონასტერების დაუქმებისა და მონოზნობის დარღვევისა. ამის მიზეზით თერეზაც მოვიდა თავის მამის დასთან, მარკიზა ლიგელოსთან, რომელმაც მიიღო იგი, ვითარცა საკუთარი ასული თჳსი; გარნა სახლი მარკიზასი არ იყო იმ გუარი სახლი, სადაც ჯანუკა მონოზანს შეეძლებოდა ეპოვნა სიმშვიდე და მყუდროება. — შთამომავლობა, სიმდიდრე და წარჩინებულება ქუეყანაში ამლევდნენ მარკიზას ნებასა, რათა სახლი ჰსჭეროდა მას განხსნილი ყოველთა კეთილ შობილთა გუამთათჳს, მეტადრე ახალ მმართებლობის მოხელეთათჳს.

ოფიცრებთა შორის, რომელნიც იარებოდნენ მარკიზას სახლში, იყო ერთი ყმაწვილი კაცი, პოლკოვნიკი ოც და ოთხის წლისა, არც გამოჩენილის გუარისა, არც მდიდარი; მხოლოდ თავის ვაჟკაცობით მიწევნილ იყო იგი ამ ხარისხამდე. რა იხილა მან თერეზა, მაშინვე ჰსცნა მან სიყუარულის ძალაჲ, რა თერეზამაც იხილა იგი, მაშინვე იგრძნო, რომელ

მონასტრის მეუდროების გარდა, სხვა ბედნიერებაც არის სიცოცხლეში.

ყმაწვილთა კაცმა და ქალმა შეიყვარეს ურთიერთი, ერთმა სრულიადის აღგზნებულის გამოხატულებით ფრანცუზისა; მეორემ სრულიადის გულის ალითა იტალიანკისა.

სამი თვე განვჭრინდა იმათთჳს, ვითარცა ერთი წამი. მეყსეულად გამოცემულმა ბრძანებამ გამოიყვანა ფრანცუზის ლაშქარი იტალიიდგან, — განაღვიძა მიჯნურნი ტკბილის ძილისაგან. უკვე გვიან იყო განშორება. ესრეთ ღრმად შთაეგდო სიყვარულისა გულთა შინა მათთა ფესვნი, რომელ ფიქრი განშორებაზედ შეუძლებელი იყო. განშორება და სიკვდილი მათთჳს ერთი იყო; ხოლო ეს მიჯნურნი ესრეთ ბედნიერნი იყვნენ, რომელ იგინი ჯერ არ ეშურებოდნენ ქვეყნიდგან განშორებასა.

პოლკოვნიკმა წინა დაუდვა თერეზას ქორწინება. თერეზაც ეთანხმა. დააწყეს ესრედ, რომელ ფრანცუზთა ლაშქრის იტალიიდგან გამოსვლის წინა ღამეს თერეზა გამოსულ იყო თავის მამის დის სახლიდგან და თავის საყვარლით წასულ იყო დანიშნულს საყდარში. იფიქრეს რა ესე, აღასრულეს კიდეცა. გარნა ერთმა წინათ უფიქრველმა გარემოებამ დაარღვია აზრი მიჯნურთა. იგინი წარსდგნენ წინაშე მოძღვრისა, რომელმაც გამოუცხადა, რომელ იგი მზათ არის შეაერთოს იგინი აღსარების შემდეგ. რადგანაც ეს ჩვეულება მჳწლათვე იყო დაწესებული, ამისთჳს მათ უარი აღარა ჰყვეს. პოლკოვნიკმა მოიღრიკა მუხლი ერთის მხრით სააღსარებოსა, ქალმაც მეორეს მხრითა. — როდესაც თერეზამ გამოუცხადა მოძღვარსა, რომელ იგი პირველად მონოზანი იყო და დაუტევა

მან მონასტერი ნაპოლეონისაგან გამოცემულის ბრძანებით, რომლითაც უქმდებოდნენ მონასტერნი, მოძღვარი წარმოსდგა, მძვინვარება გამოუცხადა, რომელ განთავისუფლებული ფიცისაგან კაცის ბრძანებითა, ის ქალი არ არის განთავისუფლებული ფიცისაგან წინაშე ღმრთისა; ამისათჳს მან უარ ჰყო მათი გჳრგჳნის კურთხევა. პოლკოვნიკმა ჴელით გამოიტანა ტაძრიდგან თერეზა გრძნობა მიხდილი. რა გონს მოაგო, პოლკოვნიკი არწმუნებდა მას, რომელ იგინი ადვილად ჰპოვებენ ფრანციაში კეთილს მოძღვარსა, რომელიც დაუბრკოლებლივ შეაერთებს მათ ქორწინების კავშირით.

თერეზას უყვარდა და ამისთჳს ერწმუნებოდა. იგი ეთანხმა გაჰყოლოდა საყუარელსა თჳსსა. მეორეს დღეს მარკიზას მიართვეს წერილი, რომელიც უცხადებდა მას ძმის წულის გაპარვას. ამ ცნობამ დიდად შეაწუხა და დაალონა მარკიზა, არა ეგოდენ ამისთჳს, რომ მას უყუარდა თერეზა, არამედ უმეტეს ამიტომ, რომელ იგი შეიქნება საგანად ნათესავთ უგედრებისა და ხალხში შერცხვენისა გაუფრთხილებლობისა და უურ უგდებლობისა გამო თჳსისა. ამისათჳს მარკიზამ მოიგონა ეს ოსტატობა: მან გამოაცხადა რომელ რაოდენიმე დროის აქეთ, ძმის წული მისი თერეზა ავადმყოფობამ დაიგდო, და რა მიაწერა მიზეზი ამისი ნეაპოლის ჰავასა, მას აქუს განზრახვა წავიდეს თერეზათი თავის სოფელში. იმ საღამოზედვე მარკიზა გავიდა ქალაქიდგან ჩამოფარებულის ეკიპაჟით ვითომ თერეზათი, და მეორეს დღეს მივიდა თავის სოფლის ციხეში.

ეს ციხე იყო ძველი, განმარტოებული შენობა და სრულიად შესაფერი აღსასრულებლად მარკიზას

პლანისა. ერთის თვის შემდეგ გამოვიდა ხმა, რომელ თერეზა გარდიცვალა სიჭლექით. ვის შეუვიდოდა ეჭვი ამ ამბის სიმართლეზედ? ყოველთა იცოდნენ, რომელ მარკიზას გაგიჟებით უყუარდა იგი და საქუე-ყნოთაც აცხადებდა მას თავის მემკვიდრად; გარდა ამისა, მარკიზამ გაბედა სიკუდილის ხმის დადება თერეზასი ამიტომ უფრო, რომელ თერეზა თავის დადებულს წიგნში უცხადებდა მას, რომელ იგინი ვეღარა ნახვენ ერთმანეთსა. გრაფი ოდოარდო, რომელმანც სიცილიაში ჰსცნა რა დის სიკუდილი, შექმნა დიდი მწუხარე; გარნა ლიას სიყუარულმა ცოტა ცოტად დაავიწყა მას იგი.

ეს ყმაწვილნი მეუღლენი, მცხოვრებნი ვეზუვიის მთის ფერდობაში, ნეაპოლზედ განშორებით, თითქმის არავის არ მიიღებდნენ: ბედნიერება ემებს განშორებასა და უყუარს მას მყუდროება, მაგრამ არა მიმხედი ამისა, პირველს დღეებში მათის ჯუარის წერისა, ერთმა დობილმა გაუკეთა ლიას ვიზიტი, და რა ნახა, რომ მარტო იყო, მიულოცა მას გამარჯვება თავის წინააღმდეგზედ და დამარცხება მისი, ლიამ ვერ გაიგო ჰაზრი ამა სიტყუათა და ჰკითხა გაუკვითლებულმა თავის დობილს, რომელს წინააღმდეგზედ ეუბნება იგი. — მაშინ მასიამოვნებელმა დობილმა უამბო მას, რომელ პალერმოში, დედოფლის სასახლეში, ოდოარდოს გაუმიჯნურდა ერთი მშუენიერი ქალი, დედოფლის საყუარელი, რომელზედაცა უკვე აღარა ჰქონდათ ეჭვი ჯვარის წერისა; გარნა იმუშაკა ლიას ბედმა: ოდოარდომ დაჰსწყვიტა ჯაჭვნი მონებისა და კვალად დაუბრუნდა იგი ადრინდელზედ აღგზნებული დიასვე, ვითარცა პირველს საგანსა თვსის სიყუარელისასა.

ლია უანბობდა ამ ლაპარაკსა ღიმილით ბაგეზედ, გარნა სიკვდილით გულში. შემდეგ მასიამოვნებელი დობილი გამოესალმა ლიას და დაუტევა გული მისი განგლეჯილი ეჭვის ტანჯვით. რა დობილი მოეფარა კარებსა, ლიამ იწყო ტირილი. თითქმის მაშინვე განეღო გვერდზედ კარი და შემოვიდა გრაფი. ლია ცდილობდა დაეფარა ღიმილით ცრემლი თჳსის მეუღლისათჳს; გარნა რა წამოჰსთქვა მან რაოდენიმე სიტყვა, მწუხარებამ დაჰსძლია იგი, მაშინვე შეეკრა გულში და ნაცჳლად ნარნარათა სიტყჳათა, რომ-ლითაც იგი ცდილობდა გამოეთქვა, ლიამ კჳალად ამოუშვა ტირილი.

ამ მოულოდინებელად ღრმამ მწუხარებამ მოჰსწყლა გრაფი. იგი ესწრაფებოდა მიზეზის ცნობასა. გული ლიასი ესრეთ სავსე იყო მწუხარებითა, რომელ მან ვერ შეიძლო დიდ ხანს დაფარვა საიდუმლოსი. მან აღიარა გამწარებულის სახით წინაშე ქმრისა ყოველი, რითაც ამღვრეულ იყო გული მისი.

ოდოარდომ გაიცინა. იყო რამდენიმე მართალი იმაში, რაც ეთქჳა ლიასათჳს დობილსა მისსა. მშჳე-ნიერს ლიონას მართლად გამოერჩია მრავალთა მის გარეშემორტყმულთაგან გრაფი ოდოარდო, მაგრამ მას ცივად მიეღო ტურფას ალერსი, ჩქარაც წარ-მოუდგა იმის შემდეგ გრაფსა შემთხვევა სიცილის დატევებისა, და დამტკიცებისა თჳსის სიყჳარულისა ლიასადმი. ყოველი ესე უამბო ქმარმა ლიას დაჭე-შმარიტების ხმითა. დამშჳდებულმა ამითი, ლიამ იწყო დავიწყება ამ შემთხვევულებისა, ვითარცა ჩვეულებრივ დედაკაცნი ივიწყებენ იჭვნეულებასა ქმრის ორგუ-ლებაზედ, ესე იგი, ლია ჰფიქრობდა მასზედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მარტო იქმნებოდა.

ერთს დილით, როდესაც ოდოარდო წავიდა სანა-დიროდ, ლია შევიდა მის კაბინეთში და ნახა მის სტოლზედ რამდენიმე წერილნი, რომელნიც ბიჭს მოეტანა ქალაქიდგან. რა გარდაავლო მათ თუალი ლიამ შეამცნია, რომ ერთი იმ წერილთაგან ზედ იყო ზევიდგან წარწერილი დედაკაცის ჴელით. იგი შეთრთოლდა, თუმცა ვერ გაბედა მან ამ წერილის გახსნა, გარნა ვერ ჰსძალა სურვილს თჳსი შეეტყო თუ ვითარის გრძნობის გრძნობით წაიკითხავს მას გრაფი. რა ლიას მოესმა ფეხის ხმა, იგი შევა-რდა მეორეს ოთახში, საიდგანაც შეეძლო მას ნახვა ყოვლისა, და დაუწყო მან ლოდინი მტანჯველს მწუხარებით და თრთოლვით მოუთმენლობისაგან.

გრაფი შევიდა კაბინეტში, იქიდგანაც ცოლის ოთახში. რა მუნ ვერავინ ჰპოვა, მან უხმო ლიასა, ლიამ ხმა არ გასცა, ოდოარდო დაბრუნდა თავისავე კაბინეთში, მიაყუდა მან თოფი კუთხეში, მიაგდო სა-ზირის წამლე დივანზედ, შემდეგ მიახლოვდა სტოლსა სადაც ეწყო წიგნები, დახედა მათ უზრუნველად და რა ნახა მათ შორის წვრილად ნაწერი წერილი რომელმაც ესრეთს მზრუნველობას მისცა გრაფინა, უნებურად შეჰყვირა მან, და რა მიჰყარა გვერდზედ დანაშთენები, საჩქაროდ წაავლო ჴელი, როგორც ჰსჩნდა, ძვირფასსა წერილსა.—ერთმა დახედვამ ამ წერილზედ მოიყვანა გრაფი ესრეთს აღრეულობაში, რომელ იგი იძულებულ იყო სტოლზედ დაბჯენილ იყო, რათა არ წაქცეულ იყო. იგი იმყოფებოდა ამ მდგომარეობაში რამდენსამე წამსა და არ აშო-რებდა თვალსა იმ წერილსა, თითქოს არ ერწმუნე-ბოდა თავის თუალთა. დასასრულ მთრთოლვარის ჴელით მან გატეხა ბეჭედი, საჩქაროდ იპოვა ვისგანა

ყოველნი მიიღებდნენ მისგან უხჳს მოწყალებასა. მომ-დებნი მოწყალებისა განჰფინდებოდნენ და მათს ბლაგს ჩაჰსდგებოდნენ სხჳნი. დასასრულ დაშთა მხოლოდ ერთი ბებერი დედაკაცი, რომელიცა, ჰსჩანდა, არა ჰსჩქარობდა მოწყალების თხოვნასა; იგი იჯდა ქვაზედ, მუხლებზედ თავი ჩაკიდებული და ჰსთვლემდა.

ლაამ უხმო მას; ბებერმა არ უპასუხა; ლაამ მო-ხლოვდა მას; ბებერი მაინც არ შეიძრა. ლაამ შეეხო მის მხარსა; მაშინ ბებერმა თავი აიწია მაღლა.

—აჰა, საბრალოვ დედაკაცო! უთხრა გრაფინამ, რა მიუშვირა მას თეთრი ფული. წაიღე და დამლოცე.

—მე მოწყალებას არა ვთხოულობ, უთხრა ბებე-რმა. მე მკითხავი ვარ.

ლაამ შეხედა ბებერსა და მხოლოდმაშინ ჰსცნა თავის შეცთომილება; იგი არ იყო დარიბულად ჩაცმული: მას ემოსა ტანთ წითელი მსხვილი მაუდის კურტკა; გარემეშმო ზონარ მოკერებული, გვერდის სახელებით, რომლის ქუდშე ჩამოჰკიდებოდა გრძმარი დაღმეჭილი კბილები; წინ ეკვარა ლურჯი მაუდის იუპკა თავზედაც ებორბლა დიდი ქუდსახოცი; ყო-ველი მოძრაობა ჰქონდა უძლური; მხოლოდ თვალებ-შიდა ელვა მას. სიცოცხლედ იგი აჰქუეკა მით რაც შეეძლო, თითქოს ამისთჳს, რომ უნდოდა ჩაეხედა და წაეკითხა ადამიანის გულში.

ლაამ იცნა ეს ბებერი დედაკაცი ერთის იმათგანს ბოშად, რომელნიც დაეხეტებიან ერთის მხრიდგან მეორეს მხარეს, ატყუებენ მკითხაობით სუბუქმორწ-მუნეთა და ჰსცხოვრებენ იმათის ანგარიშზედ. ლაას ყოველთჳს ეჯავრებოდა ამ გვარნი ცრუ მოგუნი და მას უკვე დააპირა გამობრუნება.

—არა გნებავსთ მკითხოთ რამე, ქალბატონო? უთხრა

ზებერმა.

— არა, უპასუხა ლიამ: არ მინდა შევიტყო მომავალი: იგი სანუგეშოს და სასიამოვნოს არასა მპირდება.

— ხან-და-ხან არ არის ურიგო ადამიანმა ურიგოც იცოდეს, რომელსაც მოელის, უთხრა ზებერმა.

— რასაკვირველია, შენს კეთილგნებას თუ გერწმუნებოდე, უთხრა ლიამ, ბევრი რამ მაქვს საკითხავი.

— კითხვა დასაძრახისი არ არის, უთხრა ზებერმა: პირველისავე სიტყვისგან შეგიძლიანთ სცნოთ, მართალს ვამბობ თუ არა.

— შენ ის არ გეცოდინება, რაც მე მინდა შევიტყო, უთხრა ლიამ.

— იქნება კი ვიცი, გამომცადეთ!

ლია ჰგრძნობდა თავის დამარცხებასა. გუშინდელიდგან იგი უეჭლას ერწმუნებოდა; მიახლოვდა ზებერსა და ჰკითხა:

— მაშ კარგი! რა უნდა ვქნა მე?

— აქ მომეცით თქვენი ჴელი, უთხრა ზებერმა.

გრაფინამ გამოიძრო პერჩატკი და მიუშვირა თეთრი პუწკნილი ჴელი, რომელსაც ზებერმა წაავლო თავისი შავის დამეჭკილის ჴელებით. მშვენიერს სახილველს წარმოადგენდა ეს უმანკოლი, სიტურფით აღვსილი, ცოტად ფერ მიხდილი, უძრავად მდგომი ქალი ამ შავტუხასა, მზისგან შემწვარს ზებერთან.

— რა გნებავსთ შეიტყოთ? ჰკითხა ბოშამ, რომელიც უსინჯავდა გრაფინას ჴელზედ მარდიულების ხაზებსა ესრეთის ყურადღებით, რომ ასე ჰგავდა, მართლად შეეძლო იმისხედ შეტყობა გრაფინას ბედისა. მითხარით რა გსურსთ იცოდეთ: წარსული, აწ-მყო თუ მომავალი?

ზებერმა წარმოჰსთქვა ეს სიტყვანი ესრეთის დარწმუნებით, რომელდ ლია უნებურად შეთრთოლდა.

 

იგი იყო იტალიანკა; გაეგონა თავის ძიძისაგან ზღაპარი თვალთ-მაქცებზედ და კუდიანებზედ.

—მე მინდა შევიტყო წარსული, უთხრა გრაფინამ, რომელიც ჰსცდილობდა მიეცა თავისის ხმისათჳს გამოთქმა. მანდედგან გჰსცნობ, შემიძლიან ვერწმუნო შენს მკითხაობასა თუ არა.

—თქუენა ხართ დაბადებული სალერნოში, უთხრა ბებერმა: კეთილ-შობილის შთამომავლობისაგან; მდიდარი ხართ; თქუენ შეგისრულდათ ოცი წელი ამ უკანასკნელს წარსულს ღჳთის-მშობლობის დღეობას; თქუენა გყავსთ ქმარი, რომელთანაც კარგა ხანი ყოფილხართ მოშორებული, და რომელიც გიყუარსთ სიცოცხლეზედ უმეტეს.

—მართალია, მართალია! ტუტუნებდა ლია გაყვითლებული, ეს მართლად ჩემი წარსული ამბავია.

—გინდათ იცოდეთ აწ-მყო? უთხრა ბებერმა, რა ჩააშტერა გრაფინას თჳსი წვრილნი გველურნი თვალები.

—ჰო, უთხრა ლიამ ერთის წამის გაუბედობის შემდეგ; ჰო, მინდა შევიტყო აწ-მყო!

—ჰგრძნობ შენში იმდენს მხნეობასა, რომ მოისმინო? ჰკითხა ბებერმა.

—ჰსთქვი. უშიშრად მოვისმენ ყველას.

—მართალი რომ გითხრა, რას მიბოძებ?

—ამ ქისას, უპასუხა გრაფინამ, რა ამოიღო ჯიბიდგან ნაქსოვი მარგალიტ ჩატანებული პატარა ქისა, რომელშიაც, საშუალ აბრეშუმის ბადისა, ბრწყინავდნენ ოქრონი.

ბებერმა შეხედა მშიერის თვალებით ოქროთა და მიუშვირა კელი.

—დაიცადე, უთხრა გრაფინამ: ჯერ შენ არა გითქუამს ჩემი აწმყოსი.

— მართალს ბრძანებ, ქალბატონო! მიბოძეთ ხელი. ლიამ მიუშვირა ბოშას ხელი.

— ოჰ, ოჰ! შენი აწმყო, ბუტბუტებდა ბებერი. შენი აწმყო ბედი სასიხარულო არ არის, ქალბატონო. — აჰა ხაზი, რომელიც მიდის ცერიდგან სალოკ თითამდის; ეს ნიშნავს, რომ თქვენ ეჭვიანი ხართ.

— მაქვს თუ არა მიზეზი ეჭვისა? ჰკითხა ლიამ.

— მე მაგას ვერ გეტყვი, უპასუხა ბოშამ: ამიტომ რომე აქ ხაზი ერთდება სხვებთან. მე ვხედავ მხოლოდ, რომ შენი ქმარი გიფარავს რაღაცა საიდუმლოსა.

— მართალია, მართალია, ტუტუნებდა გრაფინა: ჰსთქვ, ჰსთქვ!

— ეგ საგანი ამა საიდუმლოსი — არის ქალი, განაგრძელა ბოშამ.

— ყმაწვილი ქალია?

— ყმაწვილია, უპასუხა ბოშამ დაყოყმანებით.

— ლამაზია?

— არ ვიცი; მე ვხედავ იმას სახე ჩამოფარებულსა.

— სად არის ის ქალი? ჰკითხა ლიამ გაღაფითრებულმა.

— არ ვიცი.

— როგორ არ იცი? ჰსწორეთ მითხარ.

— არ ვიცი დღეს სად არის; მგონია საყდარშია, და ამისთვს კარგათ ვერ გამისინჯავს; მაგრამ შემიძლიან გითხრა ხვალ სადაც იქნება ის ქალი.

— სად იქნება, სად? მითხარ!

— ხვალ იგი იქნება პატარას ოთახში მეთერთმეტეს ნუმრიანში, წმინდა იაკოფის ქუჩაში, მესამე ატაჟაში: იქ დაუწყებს იგი ლოდინსა თქვენს ქმარსა.

— მე მინდა ვნახო ის ქალი! შეჰყვირა გრაფინამ,

და გარდაუგდო ქისა ბოშასა. რომლაც და ათი ოქრო, თუ მაჩუქნებ იმას.

—გაჩუქნებ, უთხრა ბებერმა; მაგრამ ერთის პირობით.

—ჰსთქვი, რა პირობით!

—ამ პირობით, რომ, რაც უნდა ნახოთ, არ გამოჰსჩნდეთ მათთან.

—კარგი!

—ეჰ ცოტაა, დაიფიცეთ!

—გეფიცები წმინდა რიფსიმეს!

—კარგი! ეხლა იშოვნეთ მონოზნის ტანისამოსი, რომ ვინცობაა შეგვხვდნენ, არ გიცნან.

—მე მყავს წმინდა მარიამის მონასტერში დედის და იგუმენა; იმასა ვსთხოვ ტანისამოსსა... ან არა, დაიცა.. მე მივალ ხვალ იმასთან, ისე, ვითომ სანახავად. შენც მოდი იმ მონასტერში ათ საათზედ ჩამოუვარებულის ეკიპაჟით და მომიცადე პატარა კარებთან, რომელიც გამოდის ვიწროს ქუჩაში.

—კარგი, მოვალ, უთხრა ბოშამ.

ლია დაბრუნდა შინ; ბოშამაც ლაზლაზნით გაჰსწია თავის ქნევითა და ოქროების თვლითა.

ათ საათზედ დაბრუნდა ოდოარდო. ლიამ გაიგონა, რომ იგი ჰკითხავდა ბიჭსა, წიგნი ხომ არ არის ნეაპოლიდგან. მსახურმა უპასუხა, რომ არ არისო.

ლიამ ვითომ ვერა შეიტყორა, ქმრის ფეხის ხმის მეტი; მან გააღო კარი მხიარულის ღიმილით.

—ოჰ, რა მოხარული ვარ, უთხრა ლიამ; შენ უფრო ადრე დაბრუნებულხარ, ვიდრე მე ველოდი.

—ჰო, ჰსთქვა ოდოარდომ, რა შეიხედა ვეზუვის მთისაკენ. ჰო, მე ვჰსწუხ. ვჰგრძნობ, რა შეკრული ჰაერია? ჰხედავ, რა სქელი ბოლი ამოდის იმ მთიდგან?

ეს არაფერი ნიშნებია.

— მე ვერასა ვხედავ, ვერასა ვგრძნობ, უპასუხა ლიამ: ამასთანვე ჩუენი სასახლე ჰსდგას უშიშარს მხარეს. ღმერთი ჩუენ არ გაგვწირავს.

— ამიტომ უფრო, რომ შენისთანა ანგელოზს ამ სახლში ხედავს დაბუდებულს, მოუმატა ოდოარდომ და გარდაეხვია ლიას.

ამ საღამომაც განვლო ეგრეთვე, როგორც სხუებმა. გრაფი სრულებით ეჭუში არ იყო; ესრეთის ხელოვნებით ჰსცდილობდა ლია დაეფარა მწუხარება თჳსი. მეორეს დღეს, მეცხრე საათზედ დილისა, მან უთხრა გრაფსა, რომ მას ჰსურს ნახვა დედის დისა თჳსისა წმინდა მარიამის მონასტრის იგუმენასი.

გრაფმა კმაყოფილებით გაისტუმრა იგი.

ვეზუვის მთა თან და თან აჩენდა საშიშროებასა; მაგრამ ჩუენი ჭაბუკი ცოლქმარნი ესრეთ გართულნი იყუნენ სხუა და სხუა ფიქრითა, რომ იგინი ყურს არ უგდებდნენ გარემოებასა.

გრაფინა ჩაჰსხდა კალასკაში და უბრძანა მას კუჩერსა მიეყვანა წმინდა მარიამის მონასტერში. რა მივიდა მუნ, ლიამ უთხრა თავის დედის დას, რომ მას ჰსურს ერთის კეთილის საქმის ქმნა, მაგრამ არ უნდა, რომ თჳთ გამოცხადდეს, და ამისთჳს ჰსთხოვა მონოზნის ტანსაცმელი. იგუმენამ უბრძანა მოტანა სამოსისა ლიას ტანისა. — რა მან გარდაიცუა ეს საცმელი, მოახსენეს, რომელ ვიღაც ბებერი კითხულობს მას. ეს იყო ბოშა, რომელიც ელოდა ბატარას კარებთან დაფარულის ეკიპაჟით. — ხუთის მინუტის შემდეგ ეკიპაჟი დაჰსდგა წმიდა იაკოფის ქუჩის ბოლოს.

ლია და მასთან მხლები ჩამოხდნენ ეკიპაჟიდგან. რა განვლეს რაოდენიმე ნაბიჯი, შევიდნენ

პატარას დაბალს კარებში, იპოვნეს მარცხნივ ბნელი და ვიწრო კიბე და ავიდნენ მას ზედ მესამე ეტაჟაში. ბოშამ დააკაკუნა კარები და შეიყვანა ლია პატარას ოთახში, სადაც ელოდა მათ სხუა ბებერი. ორთავე ბოშებმა კჳალად გაამეორებინეს ლიას ფიცი და შემდეგ შეიყვანეს იგი მეორეს ფიცრულით გაყოფილს ოთახში, რომელსაც ჰქონდა ფიცრები პატარა ამოჭრილი თითქმის უჩინავი. ლიამ მიაკრა თვალნი ამ ამოჭრილს ფიცარსა.

პირველი საგანი, რომელიც შეეფეთა მას თვალებში მეორეს მხრის ფიცრით გაყოფილს ოთახში, იყო ყმაწვილი ქალი, საკვირველად მშვენიერი, თითქმის მისვე ტოლი წლოვნებით, რომელიც, სრულებით ჩაცმული, განისუენებდა ლაჟვარდის ატლასით ფარდებ ჩამოფარებულს კრავატზედ. ჰსჩანდა, მორეოდა მას დაღალულება და ეძინა ტკბილის ძილით.

ლია მოუბრუნდა ბებრებსა რისამე საკითხველად; გარნა იგინი იქ აღარ იყვნენ. მან კჳალად მიაქცია თვალნი მძინარესა.

უცნობმა ქალმა გამოიღვიძა; მან აღიწია თავი, და ჯერ სრულებით არ გამოფხიზლებული ძილისაგან, დაეყურდნა იგი ხელებზედ. შავი გრძელნი თმანი ღელვის გრგოლებით გარდიბნეოდნენ ბალიშზედ და ჰფარავდნენ სახესა ამ ქალისასა. მან შეაბერტყა თავი და ამ მოძრაობით უკან გარდიყარა თმა. შემდეგ დაყოვნებით განიხილა მან თვალნი და გარდაავლო ოთახსა, თითქოს არ იცოდა სად იყო. — დასასრულ, ჰსჩანდა, მოვიდა მეხსიერებაში და მწუხარე ღიმილმა შეათამაშა ბაგესა ზედა მისსა. მან გუნებაში წარმოსთქვა მოკლე ლოცვა, ემთხვია იგი პატარა ჯვარცმასა, რომელიც ყელზედ ეკიდა მას, წამოჰსდგა კრავატიდგან, მივიდა

ფანჯარასთან, და რა აღიწია ფარდა, დიდ ხანს იყუ-
რებოდა ქუჩაში, თითქოს ელოდა ვისმეს. არავინ
არ მოვიდა. ოხვრით მომატყუებელისა იმედისა, იგი
მოშორდა ფანჯარასა და დაჰჯდა.

ამ დროების განგრძელებაში ლია თვალთ არ
აშორებდა უცნობსა; გული მისი იყო განგლეჯილი
ჯავრითა: უცნობი იყო მეტად ლამაზი. დაფიქრებული
და მწუხარე, თავი დაკიდებული გულზედ, უცნობი
ელოდა რასაკვირველია მას, ვისაც გარდაექცია ღარიბი
სადგური მისი სასიამოვნოს საწოლად. მეუფესეულად
მან აღიწია თავი, აღმფოთებით იწყო ყურის გდება,
და რა წამოჰსდგა, მიაქცია მოუთმენელნი თუალნი
კარებისაკენ. მას ცხადად მოესმა ხმაურობა, და გა-
მოიყვანა იგი ფიქრიდგან; მსწრაფლად წამოხტა იგი,
მიიდვა გულზედ ერთი ჴელი, ხოლო მეორეთი ჰსცდი-
ლობდა დაბჯენილიყო რაზედმე; სახის ფერი კი თან
და თან მიჰსდიოდა, ესრეთ რომელ თითქმის მზად იყო
გულის შეწუხებამდე. განჰფრინდა წამი დაქანცულე-
ბითის დუმილებისა, რომლის განგრძელებაშიაც ფეხის
ხმამ კიბეზედ ამომსვლელის კაცისაგან მიაღწია ლია-
სამდე. დასასრულ კარი საწოლისა განიღო; უცნობმა
ქალმა შეჰკივლა და მიიფარა თვალებზედ ჴელი, რა
აღარა ჰქონდა ძალი აღეტანა ღელვა გულისა. ვიღაც
კაცი შეჰვარდა ოთახში და მიიკრა მან გულზედ ქა-
ლი თვით იმ წამს, როდესაც იგი ემზადებოდა გულის
შეწუხებასა. ეს კაცი იყო — ოდოარდო.

უმაწვილმა ქალმა და გრაფმა მოასწრეს მხოლოდ
ორის სიტყვის წარმოთქმა:

— ოდოარდო!.... თერეზა!....

(დასასრული იქნება შემდგომს წიგნში.)

იყო მოწყენილი, შემჭმელის თჳალებით ჩაირბინა წე-რილი და აღავსებდა მას კოცნითა. შემდეგ დაჰყო რამდენიმე წამი ფიქრში; დასასრულ მეორეთ გარდი-კითხა მან ეს წიგნი, გულს მოდგინებით დაჰკეცა იგი, თვალი გარდაავლო ოთახსა, თითქოს ამისთჳს, რომ უნდოდა ენახა, ხომ არავინ არუყურებს, და რა დარწმუნდა, რომ მარტო არის, ჩაიგდო წიგნი უბეში.—ეს იყო თერეზას წიგნი. რა იხილა კელ-ნაწერი მისი, რომელსაც ყოველნი რაცხდნენ მკუდრად, ოდოარდო შეთრთოლდა განცჳფრებისაგან. მას ეგონა, რომელ იგი იმყოფებოდა ძალსა ქუეშე ვითარისამე გრძნეულებისა. მან გახსნა წიგნი აღშფოთებით და იდუმალის შიშითა: მაშინ ყოველივე გამოცხადდა მისთჳს. ახალ-გაზრდა პოლკოვნიკი მოეკლათ ბრძო-ლაში და თერეზა დაშთენილ იყო მარტო სხუა ქუეყნის მხარეს. თუ რომ იგი ყოფილიყო კანონიერი ცოლი პოლკოვნიკისა, მას არ შერცხვებოდა მოსჳლა ფრან-ციაში, და ამისთჳს თერეზას აქუნდა ნება გლოვისა მხოლოდ თავის საყუარელზედ. მაშინ მას მოაგონდა ძმა, რომელსაც იგი უყუარდა; მხოლოდ მისთჳს შეეძლო თერეზას მიენდო უსიხარულო მდგომარეობა თჳსი. იგი ეხვეწებოდა წერილში ძმასა დაიმარხოს საიდუმლო, ვინაიდგან ჰსურდა მას დაშთენილ იყო ქუეყნისათჳს მკუდრად, აცნობებდა, რომელ წიგნის შემდეგ თჳთონაც მოვა ნეაპოლში, და ჰსთხოვა ძმასა დაუგდოს ფოჩტაში ადრესი, სად უნდა ჩამომხდარ იყო იგი. უფრო მეტის გასაფრთხილებლად თერეზა ჰსთხოვდა ძმასა, რათა წიგნი მისი ყოფილ იყო უსა-ხელო, ზედწარწერილობით ვისიმეს უფალას სახელ-ზედ. წიგნის ბოლოში თერეზა კუალად ეხვეწებოდა ძმასა დაიცვას ყოველივე ესე ღრმასა საიდუმლოდ

და ნუ გამოუცხადებს დროებამდე თჳთ ლიასაც, რათა არ შეემძლებინა მას იგი უნახავადვე. ოდოარდო მიეშვა გრესლაზედ, დატვირთული მომატებულის განცჳფრებითა და სიხარულითა.

ნუ ავსწერთ ლიას მწუხარებას ამ ნახევარ საათში. ოცჯერ მეტად მოინდომა მან შესჳლა გრაფის გაბინეტში, წარჰსდგომოდა მას წინაშე, ვითარცა მომამტყუებელი მოჩუენება, და ეკითხა მისთჳს, ნუ თუ ესრედ აღასრულებს იგი ფიცსა ერთგულებაში, რომელიც წარმოჰსთქუა მან ტაძრის წინაშე. მაგრამ ყოველთჳს იჭერდა მას სურვილი — დაეცალა ძირადმდე ფიალი მწუხარებისა, და იგი დაჰშთა თავის ალაგს დადუმებული, გაქუავებული, ვითარცა მყოფი მწარეს სიზმარში. — მას დროსა შორის ლიას თავში განიელვა ფიქრმა: თუ მოასწრობს მას ამ მდგომარეობაში გრაფი, მიხჳდება, რომ შეუტყუვია მას, და გაფრთხილდება. უმსწრაფლეს ელვისა ლია ჩაიჭრა ბაღში და დიდის ძალადატანებით თავის თავზედ, მიიცა მან დამშვიდებითი სახე; გარნა გულსა შინა მისსა იკლაკნებოდნენ გუელნი.

გრაფიც ჩავიდა ბაღში. ჭაბუკნი ცოლქმარნი შეხუდნენ ერთმანეთსა და ორნივე ცდილობდნენ დაემალათ, ერთსა სიხარული, მეორეს მწუხარება. ოდოარდო მიეგება გრაფინას და მიიკრა მან იგი გულზედ მშვენიერის მოძრაობით.

— რა დაგმართვია, სულო ჩემო? ჰკითხა გრაფმა.

— არაფერი! მე ბედნიერი ვარ, მეტად ბედნიერი ვარ! შეჰყვირა გრაფმა.

ლიას კინაღამ გული შეუწუხდა.

სადილის შემდეგ, რომლის დროსაც ოდოარდო ესრეთ გართული იყო ფიქრში, რომ ვერ შეამცნივა

მან აღრეულება ლიასი, მან წამოავლო ქუდს ხელი.

—სად მიხვალ? ჰკითხა გრაფინამ მთრთოლვარის ხმით. ამ ხმას ასეთი განსხვავებითი გამოთქმა ჰქონდა, რომ ოდოარდომ განკვირვებით შეხედა ლიას.

—სად მივალ? განიმეორა გრაფმა და თვალი თვალში ჩაუყარა ცოლსა.

—ჰო, მინდოდა შემეტყო სად მიხვალ? უთხრა ლიამ ალერსით და ღიმილით.

—ნეაპოლში. რამ გაგაკვირვა ეგრე? მხიარულებით განაგრძელა ოდოარდომ.

—ისე, რასაკვირველია არაფერმა.! მაგრამ შენ რომ წინათ არ მაცოდინე, რომ მარტო დავრჩები....

—ერთის ჩემგან მიღებულის წერილის გამო უთუოდ უნდა ჩავიდე ქალაქში, უთხრა გრაფმა; მაგრამ დამშვიდებული იყავი, ჩქარა დავბრუნდები.

—უთუოდ დღეს უნდა ჩახვიდე?

—აუცილებლივ, ჩემო სიცოცხლევ.

—შენ შეგიძლიან ხვალ წახვიდე.

—არ შეიძლება.

—მაშ წადი, შენი ნებაა!

ლიამ წარმოჰსთქვა ეს უკანასკნელნი სიტყვანი ესრეთის მალა-ლატანებით, რომ გრაფი დაბრუნდა, მიიკრა მან ლია გულზედ და შუბლზედ აკოცა.

—ავათ ხომ არა ხარ, ჩემო სულო?

—არც თუ მცირედ. რაში მატყობ?

—მაშ რა დაგმართვია? რა სამწუხაროს ხმითა მკითხავ? განაგრძელა გრაფმა.

—არაფერი, სრულებით არაფერი; ეგრე თუ გეჩვენა.

ეს სიტყვები იყო ნათქვამი მწარეს ღიმილით. ოდოარდო ცხადად ხედავდა, რომ ლია თავის გუნებაზე არ იყო.

— გამიგონე, სულო ჩემო, უთხრა გრაფმა: მე არ ვიცი მიზეზი შენის მწუხარებისა; მაგრამ ვხედავ, ჩემი გული მეუბნება, რომ შენ ჰსწუხარ რაზედმე.

— შენ შენი გული გატყუებს, უთხრა ლიამ; წადი და ჩემთჳს ნუ შეჰსწუხდები.

— ნუ თუ შემიძლიან ან ერთს წამს მოვშორდე შენ, რომელსაც ეგრე მწუხარებით და უგულოდ მესალმები?

— მაშ როგორ გამოგესალმო: თუ გინდა ესრე გეტყვი:

— წადი ჩემო საყვარელო ოდოარდო და საჩქაროდ დაუბრუნდი შენს ლიას.

მას დროსა შორის გრაფის საყვარელი ცხენი იდგა უკვე შეკაზმული სარბენის წინა და მოუთმენელობისაგან ფეხითა ჰსთხრიდა მიწასა. ოდოარდო მოახტა მას, და რა გაუგზავნა კელით გამოსალმებითი კოცნა ლიასა, გააჭენა მან ცხენი. როდესაც იგი მიეფარა ბაღის კუთხესა, ლია ავიდა ზევით კოშკში, საიდგანაც ჰსჩანდა გზა ნეაპოლისა. იგი ხედავდა რა ჩქარის ჩორთიით მიისწრაფვებოდა გრაფი ნეაპოლს. გული მისი შეიჭმუნვა უფრო ამ ფიქრით, რომელ იგი მიესწრაფვებოდა არა ამისთჳს, რათა ჩქარავე დაბრუნებულ იყო, არამედ ამისთჳს, რომ ჩქარა მისულ იყო სანახავად დანიშნულს ალაგს.

ოდოარდო მიეჩქარებოდა ნეაპოლში მოსამზადებლად სახლისა თავის ლისათჳს. მას პირველად ჰსურდა ექირავნა დიდი სახლი, მარამ შემდეგ იფიქრა, რომ აწ მყოს მდგომარეობაში თერეზასი, მისთჳს უფრო შესაფერი იქმნება ერთი პატარა ოთახი, რომელსამე ქალაქის ნაწილში განშორებით. გრაფმა ჩქარა იშოვნა ამგვარი ოთახი წმინდა იაკოფის ქუჩაში, მეთერთმეტეს

წუმრით, მესამე ატაჟაში. ეს სახლი ეკუთნოდა ერთს ღარიბს ბებერს დედაკაცსა, რომელიც ოთახებს მებილით ამლევდა ქირით. რა აღმოაჩინა ერთი შესაფერი თერეზასათჳს ოთახი, გრაფმა მოუწოდა გადამკჳრელსა და უბრძანა მას მეორეს დილამდე გააკრას კედლები ფარჩითა და იატაკი მოჭედინოს ხალებით. გადამკჳრელი დაჰპირდა ყოვლის აღსრულებას და მიიღო მან ბეთ ნახევარზედ მეტი იმ ფულისა, რაოდენიც ეთხოვნა.

რა ოთახიდგან გამოდიოდა გრაფი, შეხჳდა სახლის პატრონსა; იმასთანვე იყო და ისი, ეგრეთვე კუდიანი ბებერი, როგორიც თჳთონ. გრაფმა ჩააბარა რათა აქუნდესთ განსაკუთრებითი მზრუნველობა მათს ახალს მდგმურზედ. სახლის პატრონმა ჰკითხა სახელი მდგმურისა, მაგრამ გრაფმა უპასუხა, რომელ იმისი, სახელთან მას საქმე არა აქუს, რომელ მასთან მოვა ლამაზი ყმაწვილი ქალი, იკითხავს გრაფის ოდოარდოს, და ის ქალი იქმნება თჳთ იგი, რომლისათჳსაც მზადდება ოთახი. — ბებრებმა ერთმანეთს შეხედეს და ჩუმათ ჩაიცინეს; გარნა გრაფმა ვერ შეამცნივა ამათი ღიმილი, ანუ არ მიაქცია მას განსაკუთრებითი ყურადღება. შემდეგ, აღშფოთებული ამ ფიქრით, რომ ლია არ იყო თავისგუნებაზედ გამოსალმების ჟამსა, გრაფი დაეშურა შინ წასვლას, ამ განზრახვით, რომ იქიდგან გაჰგზავნოს ფოშტაში ბიჭის ხელით წიგნი, რომელსაც ელოდა თერეზა, და რომელსაც უნდა ეცნობებინა მისთჳს, სად უნდა ჩამომხდარ იყო.

ლია დაჰშთა კოშკში იქამომდე, მანამ ქმარი მისი სრულებით აღარ გამოჰჩნდა. შემდეგ იგი ჩამოვიდა თავის ოთახში, და არ აშორებდა მწუხარეთა და იჭუნეულთა თვალთა იმ გზასა, რომელზედაც წავიდა ქმარი

მისი. გული მისი მოიკრუნჩხა; მან ვეღარ შეიძლო ვერც ტირილი ვერც ლაპარაკი; მტანჯველი მწუხარება აწვებოდა მას გულზედ, და ეგონა, რომ იმ დღეს ვეღარ გაასწევს. კრესლოზედ თავ გარდაგდებულმა თითქმის უსულოდ მდებმა — ამ მდგომარეობაში გა-ნატარა მან ორი საათი. დასასრულ მოესმა მას ცხენის ფეხის ხმა. ოდოარდო მოსულ იყო. ლია ჰგრძნობდა, რომ ამ წამში მას არ შეეძლო მისი ნახჳა; იგი მი-ვარდა კარებსა, დაკეტა გასაღებით და ჩაწვა ლოგინში. ჩქარა მოისმა ფეხის ხმა გრაფისა; გარნა რა ნახა, რომ შიგნიდგან არის დაკეტილი, მან უხმო ნელის ხმით:

— მე ვარ, სულო ჩემო, გძინავს?

ლიამ არ უპასუხა. მან მხოლოდ მოიბრუნა თავი იმ მხრისაკენ, საიდგანაც მოესმა ხმა და მიაქცია კარებს თჳალნი აღგზნებულნი ციების ცეცხლით.

— პასუხს არ მაძლევ, სულიკო? განაგრძელებდა ოდოარდო.

ლიამ კვალად ხმა არ გასცა.

მაშინ ლიას მოესმა განშორებულის ფეხის ხმა. რამდენსამე მინუტის შემდეგ გრაფის ხმამ კჳალად მიახწია მის ყურისადმი: იგი ჰკითხავდა მოახლესა ლიას სიმრთელესა; მაგრამ რა არა შეემცნივარა არა ვითარიმე ცჳლილება თავის ქალბატონში, გოგომ უპასუხა, რომ გრაფინა შევიდა თავის ოთახში და იქნება დაღალული სიცხისაგან, დაწვა მოსასჳენებლად.

— კარგი! ჰსთქჳა გრაფმა: მე კაბინეთში ვიქმნები, საშური თუ საწერი მაქჳს რამ; როდესაც ქალბატონმა გაიღვიძოს, მაცნობე.

და ლიას ესმოდა, ვითარ გრაფი შევიდა კაბინეთში და მიუჯდა საწერს სტოლსა. ერთი კედელი განჰყოფდა

მათს ოთახებსა.

ლია წამოჰხდა ჩუმათ ლოგინიდგან, მან სიფრთხილით გამოიღო გასაღები კარებიდგან და იწყო ყურება კლიტის ამონახვრეტიდგან. იდოარდო ჰსწერდა, და ჰსჩანდა წერილი უპასუხებდა გულის გრძნობასა, ამატომ რომელ სახე მისი ბრწყინავდა ბედნიერების შუქით.

— იმ ქალთანა ჰსწერს! ტუტუნებდა ლია და აგრძელებდა ყურებასა. იგი ირყეოდა მჭუსა შიშის, რომელიც მალას ატანდა მას-გააღოს კარი, შევიდეს გრაფთან და გამოჰსტაცოს ხელითგან სამუხთლო წერილი, და შეიმაგრა იგი კეთილ გონიერებამან, რომელიც უჩურჩულებდა, რომ იქნება გრაფი სრულებით ქალთან არა ჰსწერს, და ჰსჯობს მოითმინოს დაჭეშმარიტებამდე.

გრაფმა გაათავა წერილი, დაბეჭდა, ზედ წააწერა ადრესი და რა მოუწოდა მსახურსა ზარის დარეკით, უბრძანა მას შეჯსდეს ცხენზედ და ესლავ წაიღოს წიგნი ნეაპოლში.

ეს ის წერილი იყო, რომელსაც თერეზა ელოდა ფოშტაში. მოსამსახურემ ჩამოართვა წერილი გრაფსა და გამოვიდა. გრაფინა მივიდა პატარა კარსა, რომელსაც გამოჰყვანდა იმისი საწოლიდგან ტალანში, და იქიდგანაც ჩაიჭრა ბაღში. იმ დროს, როდესაც ბიჭმა მიატანა ბაღის გასავალს კარებს, გრაფინა დახვდა მას წინა.

— სად მიხვალ ესრე გვიან, ჯუზეპო? ჰკითხა გრაფინამ.

— ბატონმა წიგნი გამატანა ფოშტაში, უპასუხა მსახურმა.

რა აჩუჱნა წიგნი ქალბატონსა ლიამ მსწრაფელად

ჩაავლო იჭჳნეული თვალი ადრესსა: «უფალს.... ნეამოლში.»

— კარგი! უთხრა ლიამ ბიჭსა: წადი!

ბიჭმა ცხენი—გააჭენა.

ეხლა აღარ იყო არცა მცირედი ეჭჳ: წიგნი მიწერილი იყო ქალთან, რომელიც ჰფარავდა სახელსა თჳსსა, მაშასადამე ჰსურს უცნობელი იყოს.—რათა აქჳს ეს საიდუმლოება, თუ ამ მიწერ მოწერაში ერთი რამ უნამუსური განზრახვა არა აქჳსთრა?.. ამ წამიდგან ბედი გრაფინასი გარდაჰსწყდა: მან განიზრახა აჩჳენოს ქმარს თავი, ვითომ არა იცისრა და უთვალთვალოს მას ბოლომდინა სიმტკიცით, რომლისაც იმედი არა ჰქონდა თავისი თავისა. ლია დაბრუნდა თავის ოთახში და იქიდგანაც. შევიდა ქმრის კაბინეტში დიმილით.

მეორეს დღეს ოდოარდოს სრულებით დაავიწყდა მწუხარება, რომელიც შეამცნია მათწინა დღეს სახესა ზედა გრაფინასა, და რომელმაცა შეაშფოთვა იგი. ან ლია იყო ჩჳეულებრივ მხიარულად და ალერსიანად.

ეს დღე იყო კვირა. ყოველ კვირა გრაფინა თავისის ჴელით არიგებდა მოწყალებას. ეხლაც დილიდგან მოკიდებული ბაღის კარები სავსე იყო მთხოვრებით. საუზმის შემდეგ გრაფმა აიღო თოფი, გაიმძღჳარა წინ ძაღლი და წავიდა სანადიროდ. ლია აიჭრა კოშკში და ნახა, რომ გრაფი შეუდგა ავლიონის მთასა; მან აღმოისუნთქჳა თავისუფლად.

რამდენისამე წამის შემდეგ, მოახლემ მოახსენა მას, რომ მთხოვარნი შეკრებილან უკჳე.—ლიამ აიღო ერთი მუჭა წჳრილი ფული და ჩამოვიდა ძირსა. ყოველი გლახაკი—კაცი თუ დედაკაცი, ბებერი თუ ახალგაზდა, უშვერდნენ გრაფინას ჴელებსა, და

## კოლხიდა (მეგრელია.)

ქუეყანა კოლხიდისა უძუელესთავე დროთა სახელოვნებდა სიძუელითა თჳსითა, ცნობილი გარეშეთაცა ერთა მიერ. კოლხიდა — სახელის-დება გულის მსიტყუელონი, რომელ იყოს ქალ-ხიდა, ესე იგი ხიდისა მით რომლისამე დიდებულისა ქალისა ვისმე მიერ ქმნილისა წიაღსა ქუეყანისა მის. ხოლო მეორე სახელი ქუეყანისა მის არს მეგრელია, ვინაჲდგან ეგროს ძმაჲ ქართლოსისა იყო პირველი ნათესავთ მთავარი მათი. ჭალაკი კოლხიდა შორის ქუეყანისა მის იყო მცირედი და გარე-მოზღუდვილი წყლისა მიერ, რომელსაცა თქმულისამებრ მითოლოგიურისა შეწირული იყო მარსისა, რომელსა შინაცა იცვჳდოდა ოქროს-მატყლოვანი იგი ცხოვარი. კოლხიდა, ჭალაკისა მის სახელი, სრულიად ქუეყანისა მის კერძოთა ჰსწოდებიეს, რომელიცა არს ქუემოჲსა იმერიისა, გინა საქართველოჲსა ნაწილი.

წელთა დასაბამიდგან სოფლისა ბერძენულითა რიცხჳთა 4313 იქმნა მოსვლა არღონავტთა ქუეყანად იმერიად — კოლხიდად პოვნად ოქროს-მატყლოვანისა ცხოვარისა. სახითა ამით: იაზონ, რომელიცა იყო ძე მეფისა თესალიელთა (ესე იგი თესალონიკელთა) აზონისა ანუ იაზონისა. ხოლო ესე ეზონ კუდებოდა რა დაჰშთა მცირე ყმაწვილი სახელით იაზონ, ჯერეთ სიჩჩოსა ჰასაკსა შინა. მოიყვანა მან ძმაჲ თჳსი პელეუ და მიჰსცა პართობითა და აღთქმითა ძეჲ თჳსი იაზონ ჴელთა შინა ძმისა თჳსისისა წინაშე უხუცესთა ქუეშევრდომთა თჳსთა, ერთა მთავართა და მოქალაქეთა; რათა ზრუნვა გულითადობით გამოაჩინოს აღზრდად ჩჩჳლისა მის და ოდესს მოიწიოს

იგი ჰასაკსა შინა სრულსა, მისცეს მას მეფობაჲ თესა-
ლონიკისა, ვითარცა ჭეშმარიტსა მემკვიდრესა. ჰელეჲმ
აღუთქუა ფიცითა მტკიცითა, ვითარცა ჯაჭვითა რკი-
ნისათა შეჰკრა თავი თჳსი, რათა დაიცვას სამეფო
თესალონიკისა, აღზარდოს ჩჳლი იგი გულს-მოდ-
გინებითა, ვითარცა ძეჲ თჳსი საყუარელი და მისცეს
მას ტახტი თჳსი. მოიყვანა ჩჳლი ყრმაჲ თჳსი
მამამან, იტირა მას ზედ გულ-ამოსკვნით ფრიად
სალმობიერად და მიჰსცა იგი კალთასა შინა ძმისა თჳსისა
ჰელეჲსა და თჳთ განვიდა ცხოვრებისაგან. აღზარდა
უკუე ჰელეჲმ იაზონ ფრიადითა გულს-მოდგინებითა
და ღვწლითა, მოძღუართა სამხედროთა, სამეფოსა და
სამოქალაქოთა წესითა და სიბრძნითა ელლენთათა! და
ოდეს მოიწია ჰასაკსა სიჭაბუკისასა, იაზონ იყო ჭაბუკი
ფრიად მხნე, ძლიერი, კადნიერი, გულოვანი და ჰაე-
როვანი ჰასაკოვანი მშუენიერებითა, რომელი გარდე-
მატებოდა ყოველთა თანამედროვეთა თჳსთა, და უმეტეს
ბრწყინვიდა სიმართლითა და სიუხვითა და კეთილ ზნე-
ობითა თჳსითა; მიიზიდვიდა ყოველთა კაცთა გულსა
და უყუარდათ ყოველთა დიდთა და მცირეთა უმეტეს
ზომისაგან. ვითარცა იხილა ესე ჰელეჲ მეფემან,
შევიდა გულსა მისსა შური დაუფარული და აგონებდა
მისთჳს, რომელ ესე ვითარი სიკეთე იაზონისა, მოა-
კლებს ჰელეჲს მეფობასა; მაგრამ არავის უცხადებდა
ჰასრისა გულისა თჳსისასა და დიდად ჰპატივსა ჰსცემდა
იაზონს და უწყენდა სიყუარულსა, გარნა ეძიებდა
ღონეს რასმე კეთილგონებითა რაჲთამე, რათა შთააგდოს
იგი საფრხესა რაისამე შინა და განერეს მეფობისაგან.
ამას ჟამსა განცხადდა ამბავი ყოველსა ქუეყანასა,
ვითარმედ ტროიანელსა სამეფოსა სამზღუარსა იქით
არის ზღჳისათანა ერიტრეჲსა (ესე იგი შავი ზღუა)

და ზღჳსა ამის კიდესა ქუეყანაჲ კოლხიდისა, ნაწილი ივერიისა: და მუნ არს ქალაქი მშუენიერი და იგი ადგილი არს განმგებელისა მის ქუეყნისა უფლებასა ქუეშე, რომელსა ეწოდების უეტეს. ესე სახელი ქართულად ნიშნავს ოტიასა, რომელიცა კიდრე აქამომდე ზემოსაცა შინა საქართველოსა და ქუემოსაცა სახელედების მთავართა; ოტია ქართული საკუთარი სახელია ზოგთა მწერალთა ოტია ოტესად, სხუათა ოტესად და ეტად, მაგრამ ეს სახელის დედანი ერთი და იგივეა ოტია; აქედამ არის სხუენი გადაკეთებული. და ქალაქსა მას მშუენიერსა კოლხიდისასა იყო ცხოვარი ერთი ვერძი, რომელსა აქუნდა სრულიად მატყლი ოქროჲსა და მდგომარე იყო ვერძი იგი დიდითა (გრძნობისა) ჴელოვნებითა დადგინებითა მცუელობითი მარსის ღმერთისა. უდგენენ მას ორნი ხარნი ფრიად სასტიკნი მცუელად, რომელთაცა აქუნდათ რქანი და ჩლიქნი რვალისანი და პირთაგან მათთა გამოუტევებდენ ცეცხლსა და ვერავინ მიეახლოებოდა მათ, ვინაჲთგან შესწვიდა მძაფრად; გარდა ამისა ოქროს მატყლოვანსა მას ვერძსა სცვიდა ვეშაპი დიდი და საშინელი, ევრეთვე პირითა ცეცხლ გამომდინარე, მიმახლოებულთა მას ვერძისათა განმაქარვებელი; კუალად უდგა მას დევი ფრიად საშინელი და შემაძრწუნებელი. და ამისაგამო ვერავის მალედუა მიახლოვება მისი.

ხოლო უხმს მოვნად ოქროს-მატყლოვანისა მის მოსურნესა, რათა პირველად დაიმორჩილნეს ხარნი იგი და შეაბნას უღელსა ქუეშე და მოაბნას მათ აჩაჩაჲ ალმასისა სახნისითა (ესე იგი აჩაჩა არს გუთანი მცირე) და მოხნას მით მიწაჲ იგი, [...] არს ადგილსა მას სამყოფსა მის ვერძისასა [...], რომელიცა შეწირულ არს მა[...]სა; ჯერ არს, რათა

თბილისი

მოკლასცა გუშაპი იგი, აღმოსთხარნეს კბილი და დასთესნეს მიწასა მას შინა მოხნულსა, რომლისაგან აღმოეცენებიან ნაყოფთა წილ შეჭურვილნი კაცნი მებრძოლნი და ჰყოფენ ურთიერთისადმი ბრძოლასა აღრევით და მოსწყვედენ ურთიერთსა. და რა ესე სრულ იქმნების, მაშინ შესაძლებელ არს შეპყრობად ოქროს-მატყლოსნისა მის, და რომელნიცა მო იწადინებენ და წარვლენ მოძიებად ოქროსმატყლოვანისა, ოეტესს, ესე იგი ოტია, რომლისაცა განმგებელო არს კოლხიდა, იგი თავისუფლად უტევებს ყოველთა მუნ მოძიებად მისსა. მისრულან მუნ ფრიად მრავალნი, გულოვანნი და ძლიერნი გმირნი, ძენი მეფეთა, გინა მთავართანი; მაგრამ ვერავის ძალუძლიეს მოპოვნებაჲ მისი. არა თუ სხუათა ვიეთმე მხნეთა, გამოცდილთა მებრძოლთა, თჳთ განმგებელთაცა ადგილისა მის ოეტესს ვერ შემძლებელ იქმნა შოვნად მისსა.

ესე ამბავი ესმა რა პელეუჲ მეფესა განიხარა ფრიად, ვინათგან აქუნდა შური იაზონისა, დაფარულ გულსა თჳსსა. განიზრახა წასრულად მუნ აღმჳრად იაზონისა და წარგზავნად, რათა წარწყმდეს მუნ იაზონ და არა მიიღოს მეფობა პელეჲსა.

მოუწოდა თჳსთანა იაზონს და რქუა: უწყის, მო ჩემო, მაღალშობილებამან შენმანთუ ვითარის ღუაწლითა აღგზარდე შენ, ვითარცა მაქუნდა მე ანდერძი მამისა შენისა; აწ უმჯობეს შენსა არავინ არს სრულიად საბერძნეთსა შინა სიმხნითა, ჰაეროვნებითა და მამაცობითა, და ვინაჲთგან გჳაროვნობითაცა წარმატებულ ხარ სხუათა ყოველთა, გირჩევ შენ, ვითარცა მამაჲ მოსურნე შენისა სახელისა განდიდებისა, მიიღე რჩევაჲ ესე ჩემი და ძლიერად მოცადინე იქმნე შოვნად ოქროს-მატყლოვანისა მის ვერძისა; მე

უეჭუელად დარწმუნებულ ვარ, რომელ მალ-გიძს სიმხნითა შენითა ღირს სახსოვარითა და უკუნისამდე დაუვიწყებელისა სახელისა ამის მოპოვნებად, რათა მაღალ-შობილებისა შენისა გმირობაჲ, იყოს განთქმულ პირსა ზედა ყოვლის ქუეყანისასა და ოდეს მოჴვიდე მუნით ესრეთისა სახელ-განთქმულებით დიდებულ, გამოსჩნდები უპრწყინვალესს მეფედ, საკვირველად ტახტსა ზედა თესალონიკისასა, რომელიცა არის შენი.»

ესე ვითარნი მრავალნი მოსაცთუნებელნი სიტყუანი უთხრა პელეამ იაზონს; ხოლო იაზონ, ვითარცა ჭაბუკმან გულოვნმან ბრძოლისა და სახელოვნებისა მოყუარემან სრულიად ვერარაჲ გულის-ხმა ჰყო მზაკვრება ბიძისა თჳსისა, მორჩილ იქმნა ყოვლისა სურვილითა და განემზადა წარსულად.

პელეამ ფრიად მოხარულმან ამასზედა უბრძანა მსწრაფლიად განმზადებაჲ ხვამალდისა და რათა მოკაზმონ იგი ყოვლითა სამეფოსა მორთულებითა, შთააწყვნეს ხვამალდთა შინა თჳთოეულნი მგზავსნი უნჯნი სამეფოსი და რაჲცა ჯეროვან ნივთთა სახმარებად ცურვისა მათისა და სანოვაგენი ფერად-ფერადნი, ხოლო განმზადდა რა ხვამალდი, მაშინ იაზონ განტევება მეფისა პელეასგან, შთაჯდა მხიარულებით ხვამალდსა შინა და წარემართნეს.

წარჰყვნენ თანა იაზონს მრავალთა ჩინებულთა კაცთა მენი, სახელოვანნი, ჰაეროვანნი და გმირნი, და წარჰყვა თანა ძლიერი იგი და ყოველსა პირსა ქუეყანისასა სახელ-განთქმული, ნამდვილ-მხნე, მტკიცე გულოვანი, ახოვანი და ყოველთა გოლიათთა უაღრესი ჰერკულეს, ვინაჲთგან იგი იყო გულითადი მეგობარი იაზონისა, წარუმართა მათ ქარმან შემწემან და პირ-

ველად განვიდეს კიდესა ტროადისა ქუეყანისასა მცი-რედ ჟამ შესვენებისათჳს და შეემთხვათ მათ კმაყოფი-ლებაჲ, დამწყები სრულისა ბოროტთა მკჳრ-შემთხ-ვეულებათასა შორის ბერძენთა და ტროიანელთასა, ვითარცა ცხადჰყოფს ისტორია ტროიანელთა. მუნით წარემართნეს და მიიწიეს ქუეყანასა კოლხიდისასა; და ვითარცა ესმა ამბავი ოეტესს ბერძენთა მოსვლისა, განიხარა ფრიად და უბრძანა ყოველთა ჩინებულთა და რჩეულთა კაცთაცა განმგებელობისა თჳსისათა წინა-მიგებებაჲ იაზონისა და მრავალნი ერნი ერისა სახო-გადონი მისგანნი მიეგებნეს წინწილებითა ორღანო-თათ, საყჳრებითა და ჩანგებითა და სხვისა მრავლისა სამუსიკოსა საკრავებითა და დიდისა პატივითა მოი-ყვანეს უპირველესსა მათსა ქალაქსა, წინა-მოეგება თჳთ ოეტესს (ესე იგი ოტია) მრავლისა სამხედროთა და სამოქალაქოსა მოკაზმულებითა. ხოლო მოვიდა-რა იაზონ, მოიკითხეს ურთიერთი და იაზონ მიეპყრა დი-დისა პატივითა; ოეტეს ვითარცა იხილა დიდება გამგებელისა მის, რამეთუ ყოველი ერი უყოფდა მას ეგრეთსა პატივსა, ვითარცა მეფესა, გინა მთავარსა, ოეტეს პატივ-ჰსცა დიდად იაზონს და ეგრეთვე ჰერ-კულეს და სხუათაცა ჩინებულთა გუამთა შესაბამისაებრ ღირსებისა მათისა და უპყრა ჴელი იაზონს მარჯუენე ძველისამებრ ჩვეულებისა ივერიელთასა და მეორითა ჴელითა უპყრა ჰერკულეს და ესრეთ აღიყვანნა პა-ლატსა შინა დიდებულსა და მეფეთა საწვეველად განმზადებულსა და შემკულსა მკჳრ-ფასად მრავლითა განშვენებულებითა, დასხნა იაზონ და ჰერკულეს მაღა-ლთა ხარისხთა ზედა და თჳთცა დასჯდა მათთან გვერდით იაზონისა, და სხუანი ყოველნი ღირსებისამებრ თჳს თჳსა ადგილსა შესაბამსა დასხნა. მოიღეს სანუკარნი

ფერად ფერადნი და უმასპინძლეს დიდებულად და შემდგომად ოეტესმან ჰკითხა იაზონს მიზეზი მისვლისა მისისა და იაზონმა გამოუცხადა მას ყოველივე თავაზით და ზრდილობიანისა შესაბამისისა სიტყვებითა, ვითარმედ მოვიდა ოქროს-მატყლოვანისა მისრულ არს და სთხოვა ნებისა მიცემა, რათა აქუნდეს თავისუფლება იაზონს მოძიებად მისსა. ხოლო ოეტეს შეიწყნარა სიტყუაჲ მისი პატივის ცემით და სიხარულით; მისცა მას ნებაჲ, დაუგო სერი დიდი ყოვლისა სანოვაგისა აღვსილი; და იწყეს მხიარულება შესატყვისი ჩინებულისა მის მეჯლისისა.

ჰყვა უკუჱ ოეტესს ასული მშვენიერი სახელით მედია და ჰეროვნება პირისა მისისა მოწყუნიელდა ფერიად; და ყვავილოვნებაჲ ქალისა მის ძლიერ ფასოვნიდა ყოველთა სხვაქალთა უაღრეს. მედია იყო სიყრმითგანვე მისსა განსწავლული საკვირველისა ცოდოვანებითა სასტროლოღიისა ფიზიკურთა და მეხანიკებრთა საქმეთა მეცნიერი, რომელი მზგავსი მისი მის ჟამსა ყოველთა შორის, არავინ იპოვებოდა პირსა ზედა ყოვლის ქუეყანისასა. წინასწარ-მცნობელ იყო მომავალთა საქმეთა და შემთხვევულებათა. ესრეთ უწყოდა გრძნებისა ცოდოვანება, რომელი მოუთხრობენ მისთჳს ჯადოობისა წესითა და მოქმედებითა ეშმაკურითა გარდააქცევდა ნათელსა ბნელად, მსწრაფლად აღადგენდა ქართა სასტიკთა, ელვათა, ქუხილთა, მეხთა საშინელთა და მდინარისა სიმსწრაფლით და ღვლარჭნით მომდინარეობასა უკუნაქცევდა, ზაფხულთა შინა, ხეთა, ფურცელთა მოაყრევინებდა, შემდგომ-ცვლად და ბოროტთა ძნელთა ტაროსთა შინა და ძნელთა ზამთრისათა ყვავილთა და ნაყოფთა ხეთაგან აღმოაცენებდა, ყრმათა მოხუცებულ-ჰყოფდა და მოხუცებულთა სიყრმისა

ასაკსა შინა მოიყვანებდა; ამას მკჳდრნი ღმერთად რა-ცხდნენ. მოიყვანა ოტეს ესე ასული თჳსი სერსა ზედან დიდად განშვენებული; ფრიად შემკული და მძჳრფასთა მიერ ქვათა მარგალიტთა და ოქროქსოვილით და დაისვა გვერდით თჳსსა; მაგრამ საქმეჲ ესე ოეტესს ვეჭოს დაუჯდა მწარად და ექმნა უკანასკნელ სინა-ნული, სირცხვილი და უკედრება ფრიადი და განმსა-გებლობისა მისსა უპატიოება; მაგრამ იაზონ ამით ისარგებლა არა მცირედ და მოიგო საუკუნოდ სახელი ღირსი-ხსოვნისა. მას დღეს გაიყარა ნადიმი და განი-სვენეს.

დღესა მეორესა კვალად მოუწოდა ოეტეს იაზონს სერსა ზედა და მედიაცა მოვიდა მუნ, სთხოვა მამასა თჳსსა ქალმან რათა ნება სცეს ზრახვად სიტ-ყვისა სიბრძნეთასა იაზონის მიმართ, ჩვეულებისამებრ განუთხოვართა ქალთასა, და უბრძანა მამამან მისმან, რათა ეზრახოს. მოვიდა მედია შესაბამით კეთილ-ზრდი-ლობით იაზონისა მეჯლისსა მას, იწყო ზრახვად მისსა მრავალთათჳს სიტყვათა, ვითარცა არს წესი მაღალ-შობილთა და ბრძენთა ქალ-ყმათა. ოდეს იხილა იაზონ გონიერად და ფრიად კელოვნად ჩრდილობიანი და სიბრძნითა აღსავსე ზრახვაჲ მისი, გაუკვირდა ფრიად და სთნდა იგი გულსა შინა თჳსსა. მაშინ ჰკითხა მას მედიამ, თუ ვითა და რომლისა ღონის-ძიებითა განუზრახეს იაზონს მოპოვებაჲ ოქროს-მა-ტყლოვანისა, და სცნა, რომელ თჳნიერ სიმხნისა და გულოვნებისა არა რაჲ აქუს მას სხუაჲ ღონის-ძიებაჲ შოვნად მისსა. ამასზედ ჰყჳრს მრავალნი სჯანი და ეტყოდა მედია იაზონს. «მეწყალვის მე მეფის შვილობა, სიმხნე და მაღალი სიკეთე შენი, მინდობილი მხოლოდ გულოვნებასა ზედან,

რომელითაცა მხოლოდ ყოველითურთ შეუძლებელ არს სრულ-ყოფად საწადელისა შენისა, არათუ უწყოდე ჴელოვნებაჲ იგი, რომლითაცა მოიპოვების ვერძი იგი. და მეტყოდა: მსურის მაღალშობილობისა შენისა სიცოცხლე და ხსნა ესე ვითარისაგან სასიკვდინეჲსა განსაცდელისაგან, რათა განთავისუფლდე და სიმარ-თლით მიიქცე მამულსა შენსა, ქუეყანასა ზედა მეოჯსა არავის მალუქს არცა ერთსავის მოპოვებაჲ მისი. ერთი ოდენ მე შემძლებელ ვარ თილისმათა მათ თარღმევისა და სრულიად განქარვებისა, მაგრამ მე ჯერეთ არა ვუწყი გული შენი და არცა სიმტკიცე იგი პირისა შენისა, ჰყოფა რაჲსაცა გეტყვი შენ ანუ არა, და აღასრულებ ნებასა ჩემსა, გინა უარ ჰყოფ, რომელსაცა ზედა დამოკიდებულ არს ძვირ-ფასისა სიცოცხლისა შენისა დაცვაჲ გინა წარწყმედაჲ.»

მიუგებს იაზონ პასუხსა ტკბილითა სიტყვითა, ერთნე-ბის გულთა ჭეშმარიტებისა რწმუნებულობისათა, მშვე-ნიერ მჴრახველობითა და დიდისა გულს-მოდგინებითა აღუთქვამს მას ფიცითა საშინელითა, უკეთუ ასწა-ვებს მას მოპოვებასა ოქრო-ს-მატყლოვანისა მის ვერძისასა, რაჲცა უბრძანოს მას ყოველსა ნებასა მისსა და მცნებანსა მისსა დაიმარხავს მტკიცედ და აღასრულებს.

მაშინ გამოართო პირობაჲ და აღთქმაჲ მტკიცე ფიცითა საშინელითა მედეამ იაზონს ცოლქმრობისა და საუკუნოდ განუტევებლობისა მისისა თავსმდებობითა ერკულესისათა და ოდეს სრულ-იქმნა ფიცი მოლივრისა დამტკიცებითა, მაშინ შესჯერდა მედია უმეტეს თავისს მდებობისა ძლით ერკულესისა; მაშინ იწყო სწავლებად იაზონისსა ყოვლისა გულს მოდგინებითა მოპოვებად ვერძისა მის და რქჳა:» ჭალაკსა მას შინა, სადა იგი

არს ოქროს-მატყლოვანი იგი დადგინებული მარსისა ღმერთისაგან მცველად მის ცხოვარისა, მხმილავ არიან ორნი ხარნი ნებიერნი და საშინელად მძჳნვარენი, რომელთა აქუსთ რქანი და ჭლიკნი რვალისანი და პირით გამომდინარე არიან საშინელთა ცეცხლთა.» მისცა მედიამ იაზონს ხატი ვითარიმე ოქროჲსა და უთხრა: « აქუს უკუე ამას ძალი ესე ვითარი, რომელიცა პირად-პირადთა ცეცხლისა ალთა პირისპირ შეეწევის და დაიცვავს შეწვისაგან.» კუალად მისცა მას გოგრა ნოტიითა რაჲთამე სავსეჲ და ასწავა, ვითარმედ ნოტიო ესე თჳთ უწინარესვე იცხე და მერმეთ ცეცხლმობერველთა მათ ხართა აპკურე პირთა შინა და ალი იგი ცეცხლისა ფრქვეული პირით მათით დაშრტების ამით. შემდგომად მისცა მას ბეჭედი ვითარიმე ქჳსა მწვანისა და ამცნო, ვითარმედ ოდეს მიხვიდე ვეშაპისა მიმართ, მაშინ გარდაუგდე ესე თვალთა წინაშე მისთა და დასცხრების მყისვე გამოტევებული პირთაგან ცეცხლი და ვერღარა დაგწვავს, მერეეთ იხადე მახვილი სიმხნითა შენითა, შეები მას მტკიცედ, და მოჰკლა რა ვეშაპი იგი აღმოხადე მას კბილნი, მოხანი მიწაჲ იგი ექუსისა დღისა შეწირული მარსის, ხარებითა მით უღლეულითა, აჩაჩითა ალმასისათა და იხილავ მაშინ უცხოსა საკვირველებასა; ხოლო მხილველი საქმეთა ამათ, ვეშაპი აღარა გებრძვის და განივლტის ტყედ, ნუღარა სდევ მას; არამედ მივედ ვერძისა მის მიმართ და ნუ მსწრაფლ ზედა შევარდები მას. ასწავა მედიამ შელოცვაჲ რაჲმე იაზონს და რქუა: პირველად წარსთქუ ლოცვაჲ ესე სამ გზის და ეგრეთ მივედ ნელიად და შეიპყარ ოქროს-მატყლოსანი იგი ცხოვარი, ასწავა ესენი მტკიცედ და კუალად მორეცა განუმარტნა, რათა არა დაივიწყოს

ნამცნებთა მათგან რაჲმე, რომელისათჳსაც იაზონ ფრიად მოხარულ აღურაცხელსა მადლობასა ეტყოდა მედიას.

დღესა მეორესა ითხოვა ნება იაზონ უეტესისგან წარსვლად მოპოვებისათჳს ოქროს-მატყლოვანისა ვერძისა, არა უწყოდა უეტეს და არცავინ სხჳამან კოლხელთაგანმან, რომელ მედიამ ასწავა მოპოვებაჲ მისი იაზონს, და მისცა მას ნება ოეტესს სრულისა კმაყოფილებითა და წინამძღვარი გზისა მიყვანებად ადგილსა მას. გონებდა უეტეს და ყოველნივე მისნი, რომელ ვითარცა სხჳანი მეძიებელნი პირველ, იაზონცა ვერ მალიდებს მოპოვნებად მისსა.

განემზადა იაზონ და აღსხდა ცხენსა თჳსსა ჩინებულსა და წარვიდა, წაჰყვეს თანა დერკულეს და ჩინებულნი ბერძენნი თჳსნი და ეგრეთვე უეტესისა კერძოჲთ წარჩინებულნი მის ქუეყანისანი რომელნიმე, მორავიდა იაზონ კიდესა ზედა ზღჳსასა; გარდახდა ცხენით, გამოესალმა და უამბორა ყოველთავე თჳსთანა მყოფთა, შთაჯდა ნავსა შინა მცირესა, შთაიდგა თჳსთანა, მცირე იგი გუთანი ალმასისა და ნივთნი იგი მოცემულნი მედიასგან, მიიღოთანვე სხჳანიცა სამზადისნი, რაჲცა საჭირო იყო მისთჳს და გავიდა დიდისა მის ჭალაკით ჭალაკსა მას კოლხიდს (რომლისაცა სახელი სრულიად ქუეყანასა მას სახელ სდევს ეგრელთასა) და მცირისა მის ნავით, გარდახდა ნაპირსა ზედა თჳთ მარტო და შეიჭურვა მსწრაფლიად ჯავშან საჭურველნი და შეირტყა ხმალი მკვეთარი, მარჯვენითა ჴელითა იპყრა შუბი და მარცხენის ჴელითა წარითრია გუთანი, მიიახლა რა ადგილსა მას, სადა იგი მყოფ იყო ოქროს-მატყლოვანი იგი, და ხართა მის გამოუტევეს პირით ცეცხლი საშინელი და

აღივსო ჰაერი და გარემენი მის ადგილსანი ცეცხლითა. თუმცაღა პირველად შეკრთა იაზონ და ვერა იკად-რებდა ცეცხლისა მისს მიახლებად საშინელისა, მაგრამ განიმხნა გული თჳსი სირცხჳლის და საუკუნოდ საყვედრებლისა უკუნქცევისათჳს მოეგონნეს ნამცნებნი მედიასნი, მოიღო მისმიერ მოცემულნი ნივთნი, იცხო პირველად ნოტია იგი მდგომარე მას გოგრასა შინა პირთა, კელთა, ყელსა და ქედსა ზედა, გარდამოი-კიდა ხატი ოქროსი გულსაზედა, აღიღო ჭურჭელი ოტიოსა მის, მიმართა მხნედ პირთა მათ ხართასა, რომელთაცა შემობერვილმან დასწვა მსწრაფლ შუბი და ფარი იაზონისა, და იაზონცა წუთდა და კნინდა დაასრულდა ცხოვრებაჲ თჳსი; მაგრამ შეეწივა მას წამალი იგი მედიასმიერ მოცემული, აპკურა ნოტია იგი პირთა ხართასა, რომლისა პკურებითა შეეკრნეს მათ პირნი, ვითარცა საწჳრელითა და ესე გვარ, რომელ, ვითარცა კავშირისა მიერ შეეკრების და გაერთდა ნახვნი პირთა მათთა და ვერღარა შემძლე-ბელ იქმნეს მობერვად ცეცხლისა.

ამას ზედა ფრიადისა კადნიერებითა აღივსო იაზონ და მიჰყო კელი მძლიერთა მათ ხართა რქათა მათ ზედ საშინელთა, უპყრა და მიმოსრა იგინი აქეთ და იქით, ვერღარა წინააღუდგეს მას, არცა გამართული და იწყო გაწევად კვალად და გარდახნა სრულიად ველნი იგი და ყოველნი ღრიღლოვანნი და გვერდობნი ადგი-ლისა მის, და სრულ ჰყო რა, დაუტევა მუნ ველსა ზედა ხარნი იგი და თჳთ წარემართა ვეშაპისა მის დიდისა ბრძოლად.

იხილა რა ვეშაპმან იაზონ მიმავალი, შესწივლა განსაკრთომელისა კმითა და იწყო უზომოთა ალთა ცეცხლისა შემწველისათა პირით გამოტევებაჲ, და

სრულიად აღავსნა არენი იგი ცეცხლითა და ფრიადითა აღტყინებითა ცაჲშემწველთჳო. განიცადა რა იაზონ ესე ვითარი საშინელება და ძლიერება სახმილისა მის, მოყვარეამ შეძრწუნებული სდგა გაშტერებით, მაგრამ მალიად მოეგო თავსა თჳსსა, აღმოიღო ზეჭელი უბით თჳსით მიცემული მედიასა-მიერ და გარ-დაუგდო თვალთა წინაშე ვეშაპისათა, რომლისა ელვა-რებისაგან შეძრწუნდა გული იგი სასტიკი და დასცხრა პირით თჳსით გამოტევებასა ცეცხლ-მბერვალობისასა; მაშინ განძლიერდა გული იაზონისა. მიუხდა დიდისა კადნიერებითა, აღმოიხადა მრისხანედ ხმალი, განუპო საზარელსა მას ვეშაპსა ქედი მისი და ზედა-ზედა ჰსცა ესრეთ ღონიერად ხმლითა, რომელ ვერღარას შემძლებელ იქმნა ვეშაპი იგი ვნებად, გინა მცირე-დისაცა ბრძოლისა ყოფად და დაუსუსურებელი ნა-კვეთთა მიერ ხმლისათა დაეკვეთა და განერთხა მიწასა და მაკვდინებელი სული თჳსი ბოროტად განუტევა. მაშინ იაზონმან მოჰკვეთა საშინელი იგი თავი მისი, აღმოსთხარნა მალიად კბილნი მისნი, განაბნია დამ-თესველმან მათმან წინა ხსენებულსა ხნულსა მას შინა; ხოლო მყისვე დათესვითა ვეშაპისა კბილთა მათგან აღმოცენდეს ნაყოფნი განსაკვირვებელნი, აღმოხდეს ხნულით სიმრავლენი შეჭურვილთა კაცთანი, ეკვეთნეს ურთიერთსა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი შორის მმათა მათ მიწიერთა მაკვდინებელათ წყლუ-ლებითა, და არა თუ ბრძოლაჲ მათი იყო წესიერად და ურთიერთ არსთ პირისპირ, გინა რაზმ-მწყობილებით; არამედ აღრევით ურთიერთისაღმი და უწესოდ, და ესრეთ მოწყვილი იქმნეს მოყვასნი მოყვსისაგან და არცადათუ ერთი მათგანი განერა სიკვდილსა; არამედ ყოველნივე ერთბამად დაეცნეს და აღსწ ულესრულიად.

ხოლო ოდეს ესე ყოველი იქმნა და ხარნი იგი სდევს ძლიერად ცოცხალნი ველსა მას ზედა, სადა დაუტევნნა იაზონმან; მაშინ დევიცა იგი ივლტოდა თჳნიერ ყოვლისა ბრძოლისა, და სრულიად განეშორა ადგილისა და ჭალაკისა მისგან და შევიდა ტყეთა და კლდეთა მათ შინა კავკაზიისათა ყოვლითურთ კაცთა მიუახლებელთა და ესრეთ დაარღჳვა თილისმაჲ ესე იაზონმან, განრინებული ყოველთა მას საშინელებათაგან და უზომოთა მხიარულებითა აღვსებული, მივიდა კადნიერად და უშიშრად ოქროს-მატყლოვანისა მის ვერძისა მიმართ, არღარა შეემთხვივა მას სხუაჲ წინა-აღმდეგი, წარსთქვა პირისპირ ვერძისა მის ლოცუაჲ იგი სამგზის, (სწავლებული მედიას მიერ) აღიტაცა იგი რქითა ოქროვანითა; განხადა ოქროს-მატყლოვანი იგი ტყავი, გარდამოიკიდა მხარიღლივ და განმდიდრებული უძჳრფასესითა მით ოქროვანისა, საუნჯითა მოიქცა და მოვიდა კიდესა მის კოლხიდის ჭალაკისასა, დახვდა მას მუნ მცირე ნავი მისი დაბმული, ახსნა, შთაჯდა მას შინა და გამოვიდა, სადა იგი ჰერკულეს და სხუანი წარჩინებულნი ბერძენთანი ელოდეს იაზონს, იჭუნეულებდეს მოქცევასა მისსა და იგლოვდეს მწუხარებითა დიდითა და სტიროდეს.

იხილეს რა თჳსთა ცოცხლებით მომავალი, მიეგებოდეს სრბით და უსაზომოთა სიხარულითა უამბორებდეს და ქებას შეასხმიდეს, ესრეთისა დიდებულისა და ყოვლისა ქუეყანასა-ზედა ესე გვარისა ძლევა შემოსილებისათჳს.

წარმოვიდეს მუნით და მოვიდეს უეტესის მიმართ, მოეგებოდეს წინა უეტეს და ჩინებულნი მისნი, თუმცადა პირათ იჩენდეს სიხარულსა, მაგრამ გულთა შინა აქუნდათ ფრიად უსიამოვნოება და მწუხარება

ქსრეთისა საუნჯისა უცხოთა კაცთაგან მიღებისათჳს და თჳსაგან განხვენისა; არა რაჲ უწყოდა ჯერეთ უმეტესმან, რომელ ესე დიდებაჲ იაზონისა იქმნა მიზეზითა მედიასათა. ისტუმრა კვალად უმეტესმან იაზონ და მისთანანი, გარდუხადა სერი და შემდგომად მეჯლისისა წარვიდეს ყოველნი თჳს-თჳსად.

ღამესა ერთსა განზრახვითა მედიასითა მოვიდა იდუმალ იაზონ მისთანა და გამოიყვანა მედია ფარულად, გავიდნეს არღონავტნი ღამე ქალაქით უგრძნობელად ყოველთა მუნ მცხოვრებთა და დიდისა სიმმრავლით ღამესა მას განვლნეს შორნი გზანი. დილას სცნეს რა ესე კოლხელთა, დევნა უყვეს მდევართა, გარნა გრძნებითა მედიასითა ვერა მიახლნეს კოლხელნი არღონავტთა; ხოლო წარიყვანა მედიამ ძმაცა თჳსი სახელით იაკის-თჳს თანა, რომელ უყვარდა იგი ფრიად, მთასხლიჩენ ხვამალდსა და გაემართნენ ქარითა სასარგებლოჲთა გზასა თჳსსა.

ბატონის შვილი თეიმურაზ.

## ვაჭრის შეგირდი.

არა ჩემო გაბრიელ, შენი ივანე მოგიკვდეს თუ ჩუენ აქ ხეირი ვნახოთ რამე, სამი წელიწადია ამ ვაჭრის შეგირდები ვართ და სამჯერ არ გაგვიგონია მაგისაგან ტკბილი სიტყვა, მე კი ვეღარ დავდგები და შენც გირჩევ სხუა ალაგი მოძებნოვო. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ორნი შეგირდნი ერთს დუქანში. საღამოზე დუქნები რომ დაკეტეს, გაბრიელ შინათკენ მიდიოდა დაფიქრებული და აგონდებოდა თავის ამხანაგის სიტყვები, რომელნიც უხატავდენ შემდეგსა ზნელად და უძილო ამ ფიქრში რომ იყო, ერთის თავის ნაცნობის სახლიდგან დიდი ხმაურობა მოესმა და იფიქრა, ერთი შევალ და გავიგებ რა ამბავიაო. ამ აზრით შევიდა სახლში, სადაც ნახა, რომ რამდენიმე ქალაქელის მოთამაშენი შეყრილი იყვნენ, მწვანე სტოლს მოსხდომოდნენ გარსა და გაცხარებული თამაშობა ჰქონდათ. ვაჭრის შეგირდმა ოქრო და ვერცხლი რომ დაინახა სტოლზედ, თვალები აუჭრელდა და არ იყო რომ ყურყოლამ არ აიტანა. ბოლოს იფიქრა, მოდი ერთი ბედსა ვცდიო და ამ აზრით შეგირდანობით ნაშოვნი ორი მანეთი ამოიღო ჯიბითგან, სკამი მიიდგა სტოლთან და ჩაჯდა მოთამაშეებში ამაყად. ვაჭრის შეგირდს ბედმა როგორღაც ღიმილით შეჰხედა და მოაგებინა რამდენიმე თუმანი; მეორე დარიგებაზე, რადგანაც არ იცოდა წესი თამაშობისა, მოგებული ფული სრულებით შუაგულს ჩამოყარა, ბედმა აქაც გაუცინა და მოაგებინა კიდევ რამდენიმე თუმანი. რაღა განვაგრძელო ამ ღამეს მოთამაშეებს რაც ფული ჰქონდათ სულ მოუგო და სიხარულით წამოვიდა თავის ბინაზე. მეორეს დღეს უფრო გაბედვით

წავიდა სხუას ადგილს სათამაშოთ; ბედმა არც იქ უღალატა და რაც პირველ ღამეს მოიგო, ორი იმოდენი აქ შეიძინა. მესამეს ღამეს რა იშოვნა საკმაო ფული, ლანძღვიდა თავის თავსა და იტყოდა: შენ თავლაფეიანო თაოვო ჩემო! რაზე ჰკარგავდი ამოდენს დროსა და ოხერი მუშა იყავიო! მიჰყვა თამაშობას დიდის გაბედაობით და ყოველთვის იგებდა, ასე რომ მეოთხეს დღეს ჰქონდა ნაღდი მოგებული ფული—ასი ათასი თუმანი. გაბრიელ სიხარულისაგან აღარ იყო და უგონოთ ჩაურევდა ხოლმე ოქროსა და ვერცხლში ჴელსა. რა ფულის ანგარისი გაათავა, ბოლოს წარმოსთქვა: ახლა ამაზე მეტს აღარ ვითამაშებო, ვიცხოვრებ შექცევითა, როგორათაც ჰსცხოვრებენ დიდნი კაცნი, მოვრჩი ლაფში ფეხით სიარულსა და ნისიების გროვებასაო, მშვიდობით დუქნო, მაუდებო და ადლებოვო. ახლავე დავიჭერ ჩინებულს სახლებსა უპირველეს ქუჩაში და ვიცხოვრებ მეფურათაო.

ვაჭრის შეგირდმა ბევრი წილი თავის აზრი სრულებაში მოიყვანა. დაიჭირა ჩინებული სახლები, შეკერინა კოხტური ტანისამოსი, მოიკაზმა ჩინებულად და გაემართა ვაჭართან დუქნისაკენ სანახავად. ოსტატმა რომ თავის შეგირდი დაინახა, დაუწყო ლანძღვა, აქამდინ სად ეგდე და სად დაეთრეოდიო? შეგირდმა ღიმილით სალამი მისცა ოსტატსა და მიუგო: ბატონო ხოვლაგარო! განგებას არა სურს, ჩემი ყოფნა თქუენს დუქანში, მე უფრო კარგ ხოვლაგრებს დაუამქარდიო. ეხლა ჩემი საქმე სხუა რიგათ მოვიდა, თითქმის მალიან კარგათაც, ასე რომ შემიძლიან ფულებით ვიკენჭაოვო და გგონებ, შენც მოგეწონოს ჩემგან შენის დუქნის და ადლის დატევებაო. ოსტატს შეგირდისა არა ესმოდარა და დაცინების სახით წარ-

მოსთქვა: რას ბოდავ ჩემო საყვარელო? შენ გოგრა როგორღაც დაგსნეულებიაო. შენ ანბობ ვითომც ახლა მდიდარი იყო, აპარენდე დიდკაცურ ცხოვრებასა და ჩემს დუქანს თავი დაანებოვო! აქ ვაჭარი საშინლად იცინოდა და იძახდა, მე სწორედ ვერა გამიგიარაო! გაბრიელმა მაინც დამშვიდებით უპასუხა: მე შევიქენ მდიდარი და მგონია ეს ადგილი გასაგონი უნდა იყოსო. ხომ იცი რომ ბიძა მყვანდა მდიდარი, ის მომკვდარა სხვა ქვეყანას და თავის დოვლათი ჩემთვის უანდერძებიაო. რა ესე სთქვა შეგირდმა, ოსტატს ამაყად თავი დაუკრა და დუქნითგან გარეთ გამოვიდა. ოსტატი კი იდგა გაშტერებული და ფიქრობდა: საწყალი გაგიჟებულაო!...

ამ ლაპარაკის შემდეგ რამდენსამე დღეს უკან, გაბრიელ იყო წამოწოლილი სავარდლის მდივანზედ და ჩიბუხს ეწეოდა. ამ დროს გაეღო კარები, ამის შეგირდობის ამხანაგი ივანე კი შემოვიდა და გაბრიელს შემოსძახა: აკი გითხარ, ვაჭრის შეგირდობით ჩვენ ხეირს ვერა ვნახავთ მეთქი. ჭეშმარიტად მიხარიან შენი ქეიფი ცხოვრება. გაბრიელმა მიუგო: დიახ საყვარელო, მე ახლა ძალიან წესიერათ ვცხოვრებ, როგორც მე მჰფერის ჩემს შეძლებასა, ღმერთმაუშველოს, ერთმა ჩემმა მეგობარმა თავადმა მიშოვნა ეს სახლები, ძალიან იაფათ, თვეში სულ ოცს თუმანს ვაძლევო. ივანემ უთხრა: მაშ გეტყობა ფულებს აღარ ზოგავო? მაგრამ თუ სიმდიდრეში მეგობრები არ დაგვიწყებია — ყველას ისა სჯობიაო. გაბრიელმა მიუგო. თუ გინდა გამომცადე და ნახავ, რომ ამხანაგებისათვს, გულით და ჯიბით ისევ ის გაბრიელი ვარო. ივანემ ღიმილით წარმოსთქვა, მეც მანდ გახლავარო. ეხლა ერთი დიდი ვაჭარი

მოხოვს, რომ ამხანაგათ გაუხდე და რადგან ასი თუმანი მაკლია, უნდა მასესხოვო და იმით დაამტკიცო ჩემი მეგობრობა. გაბრიელმა უპასუხა: დიახ ბატონი ბრძანდები, მაგრამ ქილა ჩემი გულიც და ფიქრიც ერთ მშვენიერს ქალთან არის და არც დროება მაქვს, რადგანც დანიშნვას ვაპირებ. ივანემ გაოცებით უთხრა: განა ცოლს თხოულობ? გაბრიელმა არა უპასუხარა, მხოლოდ ამოიღო თავის საქორწინო ტანისამოსი და აჩვენა ივანეს. იმანაც ჭეშმარიტების სიტყვით წარმოსთქვა: ახ ძმაო! რა მალე გაბედნიერდიო!... ასე ჰსთქვა, გამოეთხოვა და გარეთ გამოვიდა. ამ დროს კარეში ამ ჩუენის შეგირდის თავადი შემოვიდა, გაბრიელს ჴელი ჩამოართო და უთხრა: დღეს სრულებით მორჩენა ჩუენი საქმე, ქალის მამა თანახმა არის და დიდს მზითევსაც გიმზადებსო.

ესენი საღამოზე წავიდნენ ქალის მამასთან. რომელმაცა მიიღო დიდის პატივით და უთხრა გაბრიელს: მე შენის ქცევის და განათლების ქება მითხრა ამ შენმა და ჩემმა მეგობარმა, რადგანაც მაგისთანა ღირსეული ყოფილხარ, ამისთვის გაძლევ ჩემს ქალსაც; ჯვარის წერის შემდგომ გაგზავნი ჩემს სოფელში, სადაც მაქვს დიდი სასახლე და ყმა-მამული.—ის არის ჩემის ქალის მზითევი და ჩემი მემკვიდრეც შენა ხარ, იცხოვრე ბედნიერათ და მეც მაცხოვრე.

ვაჭრის შეგირდი ასე იყო აღტაცებული სიხარულისაგან, რომ თავის ბედნიერებას არ იჯერებდა, მეტადრე მაშინ, როდესაც საცოლო პირის-პირ ნახა და ემახლა საყუარელსა.

გაბრიელმა თავის ქონება და ფული სრულებით სიმამრს ჩააბარა, რადგან რამდენსამე დღეს უკან ჯვარის

იწყოდა და ერთად აწირებოდნენ ცხოვრებასა. მოვიდა ჯვარის წერის დღეცა, დანიშნულს საათზე მოირთო ვაჭრის შვილი საქორწილოთ ტანისამოსით და გაემართა სიმამრის სახლისაკენ. რა სასახლესთან მივიდა და მსახურმა კარები დააკაკუნა, იქიდან ხმა მოსცეს ვინ გნებავთო. მსახურმა დაუძახა: კარები გააღეთ სიძე მობრძანდაო. ამ სიტყვაზე კარები გაეღო, ერთი მოხუცებული ქალი წამოდგა და ჰკითხა: ვის ეძებთო? გაბრიელმა უპასუხა: აქ რომ თავადი დგას, ჩვენს სიმამრსაო. მოხუცებულმა მოახსენა: ის გუშინ გავიდა ჩუენის სახლიდამაო. გაბრიელმა აჩქარებით ჰკითხა: სად გავიდა, როდის და რათაო? მოხუცებულმა უპასუხა: მე არავიცირაო და ამ სიტყვაზე კარები მოკეტა: გაოცებული გაბრიელ რამდენსამე წუთს ერთს ალაგს იდგა, შემდგომ გამობრუნდა და თავის მეგობრის თავადის სახლთან მივიდა, სადაც დახვდა ვიღაცა ქალი, რომელსაცა ჰკითხა. ქნიაზი შინა ბრძანდებაო?

ქალმა უპასუხა: ვისაც თქუენ კითხულობთ, აქედან გავიდა, აქ აღარა დგასო. გაბრიელმა ჰკითხა: მაშ სად დადგაო? ამ კითხვაზე ამ ქალმა მწუხარებით წამოსთქვა: ჩუენ თჳთონ არ ვიცით და დიდად დავიმადლებდით, თუ რომ გვასწავლიდით იმის ახალს სადგომს, ამიტომ რომ ორმოცი თუმანი ქირა გაიყოლიაო.

გაბრიელმა აღარა იცოდარა რა ეფიქრებინა, ბოლოს კიდევ ჰკითხა. ისე როგორ გავიდა, რომ ვერ გაიგეთო? ქალმა უპასუხა: ბატონო რას გავი-გებდით, იმ გვარი ქალები, რომელნიც სიცრუით თავადობას ირქმევდნენ და დიდკაცობდნენ თავის დღეში არც გაპარვისა შერცხვებათ და არც ავაზაკობისაო.

ის ტყუილი კნიაზები თავისის ამხანაგებით გონია ქუ-რდები იყვნენ, ამისთჳს რომ დღეს პოლიცმეისტერიც დაეძებდათ.

ამ სიტყვების გაგონებას, მეხი რომ დასცემოდა ის ერჩივნა. ახლა შეიტყო რომ მოატყუეს, მაგრამ რა უნდა ექმნა? კიდევ უნდა ჩავარდნილი იყო ადრი-ნდელ მდგომარეობაში.

მოაგონდა ისევ დუქანი, ადლი, შემდგომ ორის კვირის სიმდიდრე, ასე მალე გადარიბება, უნამე-ტნავესად ესრედ უწყალოდ მოტყუება. საწყალი გაბრიელი მზა იყო რომ ეტირნა, თუ ხალხისა არ შერცხვენოდა! გრძნობის დრო აღარ იყო. მსწრა-ფლად გამობრუნდა და ჰსთქვა: ქუჩმკნელს რომ წავიდნენ იმ ავაზაკებს იქაც ვიპოვით.

ამ ამბის შემდეგ, სამს დღეს უკან, ივანე სათე-ვზაოთ წავიდა და წყალს რომ მიახლოვდა, დაინახა რომ ყორნები რაღასაც ეხვევიან; რა ახლოს მივიდა, ნახა წყალს დამხრჩვალი კაცი გამოუგრიავს და ფრი-ნველებს ასე დაუჩქლეთიათ, რომ ივანემ ძლივსაღა იცნო საქორწილოს ტანისამოსზე თავის მეგობარი და ნაამხანაგარი ვაჭრის შეგირდი უცებ გამდიდრე-ბული და უცებვე გაღარიბებული გაბრიელ.

# სარჩევი.

წარჩინებული სიტყუერება.—პოეზია: I. ლხინი ბა-ხუსელთა, (ივ. კერესელიძისა) 1.—II. სიყრმით უბე-დური, (N) 4. —III. დროება საუ უნისადმი, (თ. ალ. ჩიქოვანისა 7.—

…ტყუშს, მაგ…
…რდნილ იყო ა…

პროზა: I, ცოლის სიყუარუ … რჩეულოვისა.) 9.—

ჰსწავლა და კელოვნება: I. კოლხიდა (მეგრელია) (ფარნაოზ ბატონის შვილისა) 33.—

სხუა და სხუა ამბავი: I. ვაჭრის შეგირდი (კ.) 49—

ამა სალიტერატურო ჟურნალის «ცისკრის» მიმღებნის მსურველთა შეუძლიანთ ინებონ მოქცევა თხოვნითა რედაქციაში, ქ. ტფილისს; თავადის ალექსანდრე ვახტანგის-ძის ჯამბაკურიან ორბელიანის სახლებში. ფასი თორმეტის წიგნისა, ესე იგი; ერთის წლისა ექვსი მანეთი, ხოლო შინ გაგზავნით შვიდი მანეთი თეთრიფული.